# ცისკარი

---

1861

დეკემბერი.

წელიწადი მეხუთე.

## წოდება თხზულებათა:


I. — ქაცვა მწყემსი. . . . . . . თ. დ. გურამიშვილისა.
II. — ნასროლი. (პუშკინით). . . . ან. ფურცელაძისა.
III. — ლექსები სხუა და სხუა მწერლებისა.
IV. — ლაფონტენი და ფუკე. . . . გ. დიდებულიძისა.
V. — კახეთში მოგზაურობითგან. . . ივ. კერესელიძისა.
VI. — სხუა და სხუა ანბავი (იხილე მეორე გვერდზედ.)


---


ტფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

## ქაცუა მწყემსი.

(განგრძელება.)

ოდეს ქაცუამ ანბავი წვრილად
შეიტყო, ქალი მას ერგო წილად,
გულითა ლმობილად კელთ აღპყრობილად,
მადლობდა ღმერთსა.

მამასთან გაგზავნა მან მოციქული,
კაცი შევქნილვარ მე მოწიფული,
ვთხოვ კურთხევას მამურს, ცოლის შერთჳს
დასტურს,
თუ დამცემ დრო არს,

მამამ უბძანა: ცოლის შართჳსა
ჯერ დრო არა გაქჳს, იყავ შენთჳსა,

შენ ხარ ოცის წლისა, ვერ გიხამ ქორწილსა,
მე შენ უდროოდ.

შჳლმან მიუგო: ერთს სიტყვას გიტყჳ,
გთხოვ არ მიწოდო მე მისთჳს ბრიყჳ,
შენ ქენ სამართალი სწორე და მართალი,
ნუ ჰსჯი თჳალ ღებით.

შჳლმან დაუწყო მამასა ბჭობა,
რად არ გახსოვსო შენი ბიჭობა,
ჩხიკ შაშვთა ღიჭობა ........
წელთ თექჳსმეტობა.

შენ რატომ ჰქენი, რად მაისდინე,
თექჳსმეტის წლისამ რაც ჩაიდინე.
საცოლო აცდინე........

. . . . . . .

ბევრი გეხვეწა და არ ისმინე,
ასე როგორ ქენ ვერ დაითმინე,
მე როგორ გისმინო და როგორ ვითმინო,
ოცის წლისამა....

თავი დაუკრა მძიმედ მამასა,
შენ ნუ იწყენო რაც ჰსთქჳ ამასა,

მე ვსთქჳ ხუმრობითა არ გულ წყრომითა
რაც მოგახსენე.

მამამ უბძანა შენ შჳლო ჩემო,
შენ მაგისთჳსა მე არა გცემო,
არ არის ჭორია სულ ყველა სწორია,
შენი ნათქუამი.

ნუგეშის შჳლო წამოდეგ ახლო,
გლოცო გაკურთხო და ჴელი გახლო,
შჳლმან ჴელს აკოცა, მამან დალოცა,
ამ სიტყუებითა.

ღმერთმან გაკურთხოს დამბადებელმა,
ცათა და ქუეყნის ამაგებელმა,
გიწვიმოს ციერი არა გქნას მშიერი,
პურ ღჳნით ზეთით.

ესრეთ მოგრიოს შენ შენთა მტერთა,
ვით ერეოდეს ქარი მზეთ მტუერთა,
მამამან და მემან თჳთ დედისა მემან,
გზარდა მან გზარდოს.

სულმან წმინდამან დაგცოს, დაგფაროს,
გიძღუეს სიმართლის გზაზედ გატაროს,

კაის ბედს შეგყაროს საყვარელს გაყვაროს,
გულით გახაროს.

ცოლი მოგცეს და ასულნი ძენი,
ვითა სოლომან ჭკუანი ბრძენი,
მისებრ გაგამდიდროს და დაგამკჳდროს,
სახლით და კარით,
ღმერთმან გაცოცხლოს მრავალი წელი
მაგრედ გიმყოფოს ზურგი და წელი,
არ შეგყაროს სენი ძნელად მოსასვენი,
გამყოფოს მთლადა.

ყმა მოგცეს ბევრი გლესი მდაბიო,
გამონოს ნებით რომ არ არბიო.
გქნას კეთილ მსაჯულად, არვინ გყოს
ტანჯულად,
უსამართლობით.

ღმერთმან აღგავსოს გარდამეტებით,
ცხვრით, ძროხით, ქათმით, იხვით და ბატით,
გიმრავლოს ღორები, აქლემნი, ჯორები,
ეტლებ უნები.

სააქაოსა გახაროს ცოლით,

საიქიოსა გაცხოვნოს სულით,
რა ესრედ დალოცა თავზედ აკოცა,
ესრედ უბძანა.

წამოდეგ შჳლო აიღე თავი,
მებნე მონახე შენ შესართავი,
ალახილე თვალი და მონახე ქალი.
შენდა საცოლოდ.

---

შჳლო მონახე ქალი ასეთი,
ჭეშმარიტებით სწამდეს მას ღმერთი,
მოიყიდე კაცი გინდა დედაკაცი,
მას ამებნინე.

ერიდე ცუდსა, ურცხვს, ლოთს და კაჯას,
თორემ გიგინებს დედ მამა ჯაჯას,
მალმალ გიზამს ჩხუბსა, გაიმახვავს შუბსა,
გამგარებს გულსა.

გაქჳს თუ არა გაქჳს არ გაგიკითხავს.
გეტყჳს არ მაცმევ .......
მოგიდებს ყისტებსა, წამოკრავს ქისტებსა.

ჩაგამტვრევს ცხვირპირს,
ანჩხლი და ურცხვი თუ არის მრუში,
ზედ შემოგჯდების თუ რომე უშვი,
მოგიდებს მიზეზებს შამოჰკრავს მით დეზებს,
დაგიჩხვლეტს გვერდებს.
ხაითაც უნდა იქითკენ წარებს.
გარდმოგიჭირებს მათრახებს მწარებს,
აგიდებს ალჯრებს გატირებს გაუჯრებს,
ისე გატარებს.
თუ ცოლს მიეცა ქმარზედ უფლება,
ქმარი ლაფში უკუეფლება,
გაისვრება ლაფით და ხაპნის ქაფით,
ველარვინ გარეცხს,
ისო ზირაქში ბრძენმან დაწერა,
დედაკაციცა პურობით დაჭერა,
კარგ გვარად ქადაგებს აქებს და ამაგებს.
ისე დედაკაცთ,
უმჯობეს არსო ლომთ ვეშაპთანა,
ვიდრე ბოროტის დედაკაცთანა.
კაცსა სხოვრებას ასე გაწმორებს,

გვაწუხებს ისე.

ნუ გსურს ლამაზი პირ სირინოზი.
არას გაამებს თუ არის ....
ბევრი ჰყავს მას მტერი, მდევნელი, დამჭერი,
მახის დამრწუმელი.

მნელია მცველმან ის ასე დაიცოს,
რომ მტაცებელმან არ წარიტაცოს,
მზერს, უდგას მპარავი ვერ შესძლებს მფარავი,
მისს სიფრთხილესა.

რაგინდ რომ მცველი იკრთობდეს ძილსა,
მაინც ვერ შესძლებს .....
რა რომ თვალს დახუჭავს მას მტერი აბუჭავს,
ძალით თუ ნებით,

თჳთ ქალსა მართებს რომ თავი დაიცოს,
ქმარს თავი თჳსი არსად წარტაცოს,
არ განშორდეს მფარავს არ მიეცეს მპარავს,
თავისი ნებით

თუ ქალმან თჳთანო თავი არ დაიცო,
რადენიც უნდა შენ იმამაცო,

ვერ შესძლებ დაცვასა თუ შეიქს ტაცვასა,
თჳთ თავსა თჳსსა.

ზოგი ლამაზი ბევრს კაცსა აცდენს,
როგორც რომ უნდა ისე მოახდენს,
მოსთხრის კაცს წაახდენს მცნებას გარდახდენს,
მოჰკლავს და წარწყმენდს.

თუ რომ შეადგა ლამაზი ზოგი,
მნელად გადურჩეს კაცი კეთილი
რომ არ აცდინოს და არ გადახდინოს
სჯულსა და წესსა.
ნუ გინდა ქალი ანჩხლი და ლოთი,
თუ არ გინდოდეს შენს სახლში შფოთი,
ამათა სდევს ჩხუბი, კელთ ხმალი და შუბი
უჭირავს მზათა,
ნუ გსურს ქალთა ქმრობა შავთვალ წარბისა,
რომლისაც გული სხჳაგან წარბისა,
შეგიყრის მარქას, წაგართმევს ბარაქას,
სახლსა და კარსა.

თუ ქალსა თავისი ქმარი არ უყვარს,
ვარდივით ფშვიდეს იტყჳს: ფუ, სულ ყარს,

იზიზღებს . . . . . და . . . . . მოჯდომას
თავის ქმრისასა.

ქმრის მოღალატე თუნდ ქმართან იწვეს,
რომელიც უყვარს გული მასთან სწევს,
ქმარს ახსენებს არსად ..... კარგ გვარად,
მიაპყრობს პატივს,

ქმარს რომ უნდოდეს . . . . . . .
ეტყჳს: დამეხსენ . . . . . . .
მალვითა, ფარვითა, ქურდულად, პარვითა,
ქმარს ფულებს ჰპარავს.

. . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . .

რომელიც ქალი ქმარს ხნჭაზედ გასცვლის,
საუნჯისაგან თავისს ხალხს დასცლის.
გასდეს შიშველი, წასდების მიმშველი,
ვეღარვინ შემოსს.

მასწავლელს, დამშლელს ვეღარ ითავსებს,
ვინც თჳთან უნდა ხასლს იმით ავსებს,

სახლის მოთხრის დაავსებს და სტაქ-
ნებს დაავსებს,
ღვინით სხჳას ასმევს.

თავის ქმარს უზამს ასეთს სუმარსა,
არ გამოუწვევეტს სახლში სტუმარსა,
..... სიყვარულით მისის სიხარულით,
მასპინძლობს მალმალ.

ცრუვსა და მავნეს სულ ყველას დასხამს.
არაყს და ღვინოს, წყალსავით ასხამს
არას უგდებს, ყურსა ღვინოსა და პურსა,
სახლში გამოსწყჳტს.
..... უმზადებს კარგსა სადილსა,
და აღუსრულებს გულის . . . .
ღვინოს ასმევს . . . . .
სულსა და გულსა.

..,.. მიართმევს ქადა ნაზუქებს,
გატენილს ყვერულს კარგათ ნასუქებს.
როცა სადილს აჭმევს, ყავას, ჩაის, ასმევს,
ხილსაც მიართმევს.

მალმალ მიართმევს არაყ, ღვინოსა.

უნდა რომ ..... გაუღიმოსა,
მალვით უზამს თვალსა, შენ მთხოვ რასაც
ვალსა:
მოგართმევ მალე.

აყურებინებს ქმარსა საწყალსა,
სწყურის არ ასმევს მას ცვარსა წყალსა,
შინ შესთხოვს პურსა არას უგდებს ყურსა,
მყვართან აქჳს გული.

ქმარს ეტყჳს: ადექ, აიღე წალდი,
და შემისათჳს ტყეშიგან წადი,
გამოგიცხო მჭადი, გიქმნა შეჭამადი,
ჭინჭრის ფუშრუკი.

როდესაც რომე ქმარს გაისტუმრებს,
. . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . .

შეირთევ შჳლო ცოლი ასეთი,
ეს საქმე სჭირდეს იმას არც ერთი,
ერიდე ამასა, მისმინე მამასა,
ეს რჩევა შჳლო.

ქალს ნუ უვარ ჴყოფ თვალად ნასობით,

თუ გწადს სიცოცხლე წელთა ასობით.
ოლონც ფხიზლად ვლიდეს, ქმარს არ სხჳა-
ზედ ცვლიდეს,
არ იყოს ანჩხლი.

ამ გვარი ცოლი არ გიორგულებს,
გაუფრთხილდების შენს ბალში რგულებს,
დაიცავს, დაიფარავს არას მაიპარავს,
შენს საქონელსა,

სახლკარს მიუდგებს თვალსა და ყურსა,
ბარაქას დასდებს ღჳნოს და პურსა.
თუ მიიჩნევ ტკბილად არც ის გაგხდის
წბილად,
არ გაგცვლის სხჳაზედ,

ერთმანერთისა გულ მინდობილად,
მილი, ღჳმილი, გექმნების ტკბილად,
ქვეშ დაგიგებს რბილად, ზედ დაგხურავს
თბილად,
დაგაწვენს მილად.

არვინ წაგართმევს შენ იმას მალით,
არცა მოგპარავს მას ქურდი მალვით,

არ გექნების შიში მისთჳს კვნესა ვიში,
და არცა ფიქრი.

თუ კაცს არა აქჳს მართალი ძილი,
სიკჳდილი არის მისთჳს ღჳძილი,
ვარდეს გონებას, დაიწყებს ღონებას,
წაიღებს ფიქრი,

თუ კაცი რასმე საოხრავს ოხრავს.
თავისის ტანის ძვალებს გამოხრამს,
ბევრისა ურვითა შჯდითა თუ რვითა,
დანამჭლობს ხორცსა,

კაცი მიმყოლი სევდა ფიქრისა.
სიკჳდილისაკენ ქარებრ მიქრისა,
ფიქრი არ ასვენებს, აუშლის ავს სენებს.
დანასნეულებს,

ჯავრი უდროოთ კაცს დააბერებს,
ასეთს ლახვარსა გულს დაამკერებს,
მასცა არ აჯერებს მოჰკლავს არ აბერებს,
მეტი ნაღველი.

რაკი დამესავს ელვა ქუხილი,
დაისეტყვების ყანა თუ ხილი.

რას არგებს წუხილი, მკჳდარ თვალ და
წუხილი,
ველარ ადგების.

ლამაზის ცოლის პატრონი კაცი.
არს ფიქრისაგან შორს წანატაცი,
მისთჳს შიშნეულობს და მისთჳს სნეულობს,
შინ არის თუ გარეთ.

ფიქრობს: ვაითუ დედალი ჭრელი
ვიდოდეს სადმე ფრთა დაუჭრელი,
ჩემთანკი ბუდობდეს სხჳათა კვერცხს უდებდეს,
მეკი ვჭკვებევდე.

იტყჳს: ვაი თუ გაფრინდეს შორსა,
თავისის ნებით მიეცეს ქორსა,
იმან ითვალტჳნოს მეკი ამად რტჳნოს,
მისის ნაღვლითა.

იტყჳს: ვაითუ ესმინა ჩემი,
იყოს ვისიმე სხჳს წინა ჩემი.
შიგ ასხას მან წყალი დამაგდოს საწყალი
მე უჭურჭლოდა.

იტყჳს: ვაითუ ეს ჩემი ცოლი,

ავის საქმისა იყოს გამყოლი,
მე არ უყვარდე, საყნოსლად უყვარდე,
სხუასა სუნევდეს.

რა არის ლამაზი დედალი ჭრელი,
თუკი არ უყვარს საკენკის მყრელი,
რა კელი ეყრების მანამც შაეყრები,
ხრინწ წინ წინაკი.
შენ ბეყოლების შავი დედალი,
შენს საქათმოში კვერცხის მდებელი.
ამას იტყჳს ქურდი შავია და ცუდი,
რათ მოვიპარო.

შენს კარ მიდამო შეიქს კაკანსა,
მოგართმევს კვერცხით სავსე ბაკანსა,
გიჩეკს წიწილებსა, გიზდის წვრილს შჳლებსა,
სხუა რაღა გინდა.

---

თუ კაცსა გული არა აქუს მთელი,
ცუდია მისთჳს თვალთა ნათელი,
სჯობს თუალიდაწუხდეს, გულიკი არ წუხდეს,

კაცისა სევდით·

სიბრმე უდროოდ კაცს არ აბერებს,
თუ გული მთლად აქჳს კიდეც ამღერებს,
თუ გულს რამ ეწყინა, სატკენი ეტკინა,
მალე მოკჳდების.

რადგან გულით არს სიცოცხლე კვდომა,
სჯობს გულს უსულო. არ თვალთა ნდომა.
ნუ სდევ თვალთ ნდომასა, გულთა წასდომასა,
გული სჯობს თვალთა.

თვალთ სიამოვნე არს ერთი წამი,
გულთ სიამოვნე მრავალი ჟამი,
თვალთ ნამუშაკევი არს ნაეშმაკევი,
გონება ღჳთისა.

თვალი შორს წავა, რასაცა ნახავს,
ანბავს მოუტანს გულთანა მრახავს,
რასაც მაიწონებს გულში გაიწონებს,
ნდომის ლახვარსა.

რასაც კარგს ნახამს გულს მოუნდება,
თუ ვერ იშოვნა ვით აჭმუნდება.
დაიწყებს ღონებას, ჯავრს მისცემს გონებას,

წაიხდენს თავსა.

ნახამ კაცისა გული მოკვდება,
ყოველი ასრო, სულ თან გაუყვება,
თვალი არს მცდენელი კაცთა წამხდენელი.
შემასმენელი.

რადგან თვალებსა, არ აქჳს დანდობა,
არც ძმობა გვმართებს და არცა დობა,
ჩჳჱნთა თვალებისა გზის კვალებისა.
მიდევნ მიყოლა,

თვალთა ნდომამა ევა აცდინა,
ღჳთისა მცნებასა გარდაასხდინა,
ეშმაკთ თქმა ისმინა გულით ვერ ითმინა,
უთვალობანი.

ოდეს ადამ ბრმად ღმერთმან დაბადა,
ნათელი ეცვა ტანთა კაბადა,
იყო გონებით, არ დალონებით,
ტანთ საცმელთათჳს.

არას ზრუნევდა ემინა ტკბილად,
ღმერთმან ამოსჭრა მას გვერდი რბილად.
ადამ იყო კაცად, ევა დიდკაცად.

ჰქმნა გვერდითა,

ევაც ბრმა იყო ადამის მგზავსად,
ადამის შემწედ და მისა თავსა,
დასხნა სამოთხესა, არა სამს ოთხს სესა,
მრავალთა ხილთა.

ღმერთმან უბრძანა ადამს და ევას;
თქჳენ ნუ დაუწყებთ, მას ერთს ხეს რყევას,
სხჳა რაც ხილი იყოს ყველა თქჳენი იყოს:
იმასკი ნუ სჭამთ.

თუ იმ ხილს თქჳენ სჭამთ მისგან
მოკჳდებით.
როგორც იყავით, ისრე გახდებით.
ნუ გასტეხთ მცნებასა თქჳენ ჩემს ბძანებას
ზედა დადექით.

გველმან ეშმაკმან მიუთხრა ევას,
მე მოგითრობო შენ კაის რჩევას,
ვერა ხედავ შენა როგორ დანაშვენა,
ღმერთმან სამოთხეს.

ხიშვენიერე სამოთხის ხილთა,
ანუ ფრინველთა ტკბილად მახილთა,

არ ითქმის ენითა ვერ გასმენ სმენითა,
არ მალმიძს ქება.

რასაც ხის დაცვას გეტყოდათ ღმერთი,
იმ ხეს ასხია ხილი ასეთი;
თუ რომ ის შეჭამე შენ იმავე წამე,
სულ ყველას ნახავ,

ევა ცდა ჭამა ხილი იხილა,
ეშმაკის რჩევით თვალი იხილა,
რაც მან თვალით ნახა გულით ვერ დაინახა,
ენით სათქმელად.

ევამ რქვა ადამს ვახილე თვალი,
სასიარულოდ ვსცნა გზადა კვალი,
განვაგდე მე მძელი აწ ღამე მე ბნელი,
დღე გამითენდა,

ადამ ჰრქუა ევას მითხარო შენა,
თვალთა ნათელი რამ აღგიშენა,
მიუთხრა ევამა იმ ხისა რჩევათა,
რომელსაც ვსცევდით.

რისაც ხის დაცუა ღმერთმან გვიბძანა,
ის ხილი გველმან მე მომიტანა,

რა ისი შევჭამე მაშინვე ერთ წამე,
თვალთ ამეხილა.
აჰა ის ხილი შენცა შეჭამე,
დღე გაითენე განავდე ღამე,
ადამმაც შეჭამა იმასაც ერთ წამა,
თვალთ აეხილა.
რა დაინახეს წითელ ყჳთელი,
შემოეცარცვათ ტანთა ნათელი,
მოუნდათ ლაბადა ჩაიცვეს კაბადა,
ლეღვის ფურცელი.
ტანთ სიშიშვლეთა ორთავ რცხვენოდათ.
მოწყენით იქმნენ არ მოლხენოდათ,
ტანთა სიშიშვლეთა სირცხვილის შიშითა,
დაცაიმალნენ,
უწოდა ღმერთმან ადამ ადამო,
სად მიმალულხარ, აქ ჩემთან გამო,
ადამ ხმა ჰყო მალე: შიშით დავიმალე,
სიშიშვლის გამო.
ჰრქუა ღმერთმან ადამს: რად ხარ შიშველი?
ვინ გითხრა შენა რომ ხარ შიშველი,

უკეთუ არ სჭამე რომლისა გამცნე
მხოლოდ არ ჭამა.

ადამ მიუგო, რომელიც მამე
შენ დედაკაცი მის სიტყუით ვსჭამე,
ჯერ თჳთან შეჭამა მერმე მე მაჭამა
იმ ხილთაგანი,

ღმერთმან დედაკაცს ჰრქუა, ჰქუა, რისთჳნა,
დედაკაცმან ჰრქვა გველმან მაცდინა,
ჭამა იმ ხილისა მით თუალთ ხილვისა,
გველმან მირჩივა.

რქუა უფალმან გველსა რამეთუ ეს ჰყავ,
ყოვლის პირუტყუთ მკეცთაგან წყეული იყავ,
სჳდოდე მკერდითა მუცელზედ თრევითა,
მიწასა სჭამდე.

დედაკაცისა და შენსა შორის,
მისთა თესლთა და შენს თესლთა შორის,
დავდვა მე მტერობა, არა პირ ფერობა,
ერთმანერთისა,

იგი საკუჳდავად შენს თავს უმსერდეს,
დასაკრავადა დიდ კეტს უღერდეს,

შენ იმისთ ბრჭყალთა მის ვაჟთა თუ ქალთა,
უმზერდე კბენად.

დედაკაცსა ჰრქჳა: განმრავლებითა,
განვამრავლე და მწუხარებითა,
სულთქმნითა შენითა კვნესით ქმენითა,
შვნე შჳლნი შენნი.

ქმრის მიმართ იყოს მიქცევა შენი,
გეუფლებოდეს შენ ქმარი შენი,
შენ ქმარსა მონებდე უსმინე უგონებდე,
რასაც გეტყოდეს,

ხოლო ადამს ჰრქჳა: რად მაისმინე,
შენის ცოლისა სიტყჳა ისმინე,
და შენ შეჭამე რომლისა გამცნე მე,
მხოლო არ ჭამა,

წყეული იყავნ საქმეთა შენთა,
ჭმუნვითა შჭამე ყოველთა დღეთა,
თივასა ველისასა ნაყოფსა სველისასა,
სჭამდე პურსა შენსა,

ვიდრე მიქცევად შენდა მიწადა,
რომლით მოღებულ იქმენ გაცადა,

რამეთუ შენ ხარ მიწა წყალი და ცეცხლ
ქარი,
მიწადაცა იქცევი.

ნახეთ თვალთ ნდომამ ამათ რა უყო,
ჴელთ სასიკჳდინე გარდააცვა გულეო;
სცნათ მათ ქნეს სარჩვა რა აჭამა ფაფრა,
ედემთ ხილთ ნაცვლად,

ადამს და ევას ტანთ სამოსელი,
არც აბრეშუმი არც ბანბა სელი,
ნათელი გამრცვა ტყავ, ტყჳრი, ტანთ აცვა,
განაძო გარეთ.

თვალთ ლამაზთ ნდომამ მრავალი წმიდა,
კაცი მოკლა და კიდეც წაწყმიდა,
წარღვნა მოიყვანა წყლით დანთქა ქჳეყანა,
ენა ურივნა.

თვალმან გულს ამცნო ცათა შვენება,
გულმან დაუწყო გოდოლს შენება,
ქჳეყნითგან ზეცად მით აღსვლას ეცადა,
ღმერთს აწყენინა.

ნუ მისცემ გულზედ უფლებას თვალთა;

თორემ აგირევს გზათა და კვალთა,
წაგიყვანს მრუნდადა გატარებს ცუდადა,
დაგღალავს რებითა.

თვალი გულისა არს წინამძღვარი,
მეტად სარბი და გაუმაძღარი,
ნდომით არ ამდიდრებს არცა დანამკჯდრეს,
ერთ ფეროვნებით.

კაცს რომ ტანთ ეცვმს არა სციოდეს,
მაძღარი იყოს არა შიოდეს,
ფერითა საცმელთა გემოთი საჭმელთ,
სხჳას მოანდომებს.

ქაცჯამ უთხრა თავის მამასა,
რაც თქვენ მიბმანეთ სრულ ვყოფ ამასა,
არ მივდევ თვალთა ნდომას არცა გულთ
ცდომას,
ვსდევ ღჳთის ნაბმანებს.

რასაც მე ღმერთი სარჩოს მიბომებს,
სახლ კართ შეუდგამ სვეტებს მით ბომებს,
მე სხჳა არვინ ვიცი გულში დანამტკიცი,
მაქჳს ღჳთის მინდობა.

მე არ გავიღებ ამაში ფასსა,
არც ლამაზს ვეძებ არც თვალთა ნახსა.
რაც ბედმა მახვდინა და წილი მარგინა,
იმას შევირთავ.

მე ერთი ქალი შემხვდა ჭალასა,
არვინ ატანდა მოსვლად მალასა.
თავისის ნებითა ვართ გჳრგჳნებითა,
მოვიდა ჩემთან.

შემომაძლივა ვარდის კონები,
სიტყვა მომიგო მოსაწონები,
ჰა შენ ჩემო, ვარდი, შენს ყელს ჩამოვარდი,
შენად საცოლოდ.

არ ჩამოვართვი მის დროსა ვარდი,
უთხარ: უკანვე ქენი ნავარდი,
თუ შენ გერგი წილად ფიცხლავ საქორწილად,
მამას ვთხოვ დასტურს.

ახლა შევიტყვე სამს ქალს ჩემზედა,
წილი უყრიათ წყრა ბედზედა,
მას ქალსა ვრგებივარ მე მისი ბედივარ.
ბედს ვერ წაუვალ.

მამამ შჳლს უთხრა: რას ჰქჳან ბედი,
როდის დაგინდობს საწუთრო უბედი,
შენ ასე გატაროს რომ არ გაგამწაროს,
რაგინდ ტკბილ იყოს.

რადგან შენს საქმეს ღმერთზედა აგდებ,
ბედის ხსენებას რად არ განაგდებ,
რას ქჳან აწ ბედი, ყრმა ვიყავ დავბერდი,
ჯერ ვერ მიცნია.

შჳლო ყრმა ხარ და, თუნდა დაჰბერდე,
რაც ღმერთმან მოგცეს უნდა დაჯერდე,
კარგია თუ ავი თეთრია თუ შავი,
უნდა მიამოს.

შემთხვევითი არის და არა ბედი,
წყნარად მავალი განა მორბედი,
რომ წანაწყმდეს ლოდსა, გინა ოქროს ზოდსა,
უეცრად კაცი,

ეს არის არსებით მფლობელი,
მან მოგცეს რამე ნუ გაქვს იმედი,
მეფეთ სიმაღლისა გლახაკთ სიმდაბლისა,
სახელი არს ბედი.

საწუთროს სოფლის ჟამთა ცვლილობა,
დღეს შერიგება ხვალ აშლილობა,
გლახობა, მეფობა, სიმჯრიეფობა,
ღჳთით არს არ ბედით.

კაცს არას არგებს ბედის მინდობა,
ღჳთის უარ ყოფა არ შეენდობა,
ღმერთს მიანდევ თავი, შენი შესართავი.
იმასა სთხოვენ.

ღმერთმან რისაცა გაგხადოს ღირსი,
იყოს ბნელ ღამე, თუ ნათელ დღისი,
მიიღე ორივე მადლობა მოჭრივე,
ღჳთის ნაბოძებსა.

ნუ ემგზავსები, უმეცართ ბიჭებს,
ნუ მიაჩემებ ბედს ღჳთისა ნიჭებს,
ღჳთისგან შეწყალებას, ჭარს ლხინად წვა-
ლებას,
უწოდენ ბედსა.

რაც კაცი უღმერთოდ საქმეს გაბედავს,
დაბრმობილ არის და ვერას ჰხედავს,

ორს ჰპოებს თუ ერთსა, თუ არ მადლობს
ღმერთსა,
თავსაც დაჰკარგავს.

---

# ნ ა ხ რ ო ლ ი.

(პუშკინით).

## I.

ჩუჲნ ვიდექით აღგილას * * * ცხოვრება არმიის ოფიცრისა თჳთქმის ყოველმა იცის: დილით სამხედრო ვარჯიშობა ანუ მანეჟი, სადილი პოლკის კომანდირთან ანუ ურიის ტრაკტირში სალამოზედ ფუნჯის სმა და ქაღალდის თამაშობა, * * * არ იყო არცა თუ ერთი აღხსნილი სახლი, არცა თუ ერთი გასათხოვარი ქალი: ჩუჲნ ვიკრიბებოდით ხოლმე ერთ მანერთთან, სადაცა ჩუჲნის მეღროების მეტს არას ფერს არა ვხედავდით.—

მხოლოდ ერთი კაცი ეკუთვნოდა ჩჳჱნს საზოგადოებას, რომელიცა არ იყო სამხედროს ნაწილისა. ის იქნებოდა ოცდა თუთხმეტს წლამდინ, რომლისა გამოცა ჩჳჱნ ვრაცხდით მოხუცად. გამოცდილება აძლევდა მას ჩჳჱნ წინ მრავალსა აღმატებასა; ამასთანავე მისს ჩჳჱულებრივს დაღჳრემულებას ძომხოს სასიათს და ავს ენას ჰქონდა ძლიერი განჳლინება ჩჳჱნს, ჯერეთ, ყრმის ჭკუაზედ. რაღაცა საჲდუმლოებით იყო შემოზღუდჳლი მისი განგება: ისა ჰგვანდა რუსსა და სახელიკი, უცხოს მხარისა ერქვა. ოდესმე ის ემსახურებოდა გუსარში და ბედნიერათაცა; არავინ არ იცოდა მიზეზი ამის სამსახურიდამ გამოსვლისა და ამ უდაბურს ადგილას დადგომისა, სადაცა ისტუმრებდა ღარიბთაცა და ბედოვლათთაც, დადიოდა ყოველთჳს ქჳჱჲთი გაცვეთილის ძველის სერთუკით; მაგრამ ამისი სუფრაკი მუდამ მზად იყო ოფიცერთათჳს ჩჳჱნის

ჰოლკისა: თუმცა იმის სადილი შეზდგებოდა ორს ან სამ ნაირის საჭმელთაგან, რომელთაც აკეთებდა გადადგომილი სალდათი მაგრამ შამპანიის ღვინო ისმოდა როგორც, წყალი. ჩჳენმა არავინ არ იცოდა არც ამის შეძლება არც ამის შემოსავალი და ვერც რავინ ჰბედავდა რომ ეს ეკითხნა. ამას ქონდა ხოლმე ცოტ-ცოტა წიგნები, ისინიც უფრო სამხედრო და რომანები. ვინც კი სთხოვდა ყველას კმაყოფილებით ამლევდა საკითხავად და აღარას დროს აღარ მოჰკითხავდა: მაგრამ, ხათაბალა ეს იყო, რომ აღარც თჳთან დაუბრუნებდა ხოლმე ვისაცკი წიგნს გამოართმევდა. მუდამ ამისი მეცადინეობა ეს იყო, რომ ვარჯიშობდა დაუცხრომელად ტამბაჩიდამ სროლასა. კედლები ამის ოთახისა სულ დახვრეტილი იყო ტყვიისაგან როგორც თაფლის ფიჭა. ამისი ოთახი გატენილი იყო სხჳა და სხჳა ნაირის ტამბაჩებით. მეტად გასამტე-

რებლად დაჴელოვნებული იყო სროლაში, სადამდისანაცკი მისწვდებოდა კაცის გონება და თუ რომ ამას მოენდომნა პანტისათჳს ვისმეს ქუდზედ ტამბაჩიდამ სროლა, ისრე დარწმუნებულები იყვნენ იმის სიმარჯუეზედ რომ არავინ უარს არ ეტყოდა ჩუენს პოლ-კში და მიუშვერდნენ თავსა. ლაპარაკი ჩუენ შორის ხშირად შეეხებოდა ხოლმე დუელში გამოთხოვნას (სილვიო ასე უწოდებ იმასა) ერიდებოდა ამ გვარს ლაპარაკსა და, რო-დესაცკი ვკითხამდით: რომ შემთხვევია იმას ამ გვარი ჩხუბი, ის იტყოდა ხოლმე ცივად, რომ შენთხვევია, მაგრამ დაწვლილე-ბითკი არა უანბიარა, და აშკარათა სჩანდა რომ ამ გვარნი კითხვანი იმას არ იამე-ბოდნენ. ჩუენ გვეგონა რომ იმის სინი-დისზედ იდვა რამ უბედური მსხვერპლი მის საზარელის ჴელოვნებისა და ფიქრათაც არ მოგვდიოდა მისი რამიმე შემრწუნება და შეშინება. არიან კაცნი, რომელთაცა ერთი

შეხედულობა განაშორებს ამ გუართა იჭუთა; მაგრამ მოულოდნელმა შემთხვევამ გამოაჩინა წინააღმდეგ ჩუენის აზრისა.

ერთხელ ათიოდე კაცნი ჩუენთ ოფიცრებთაგანნი ვიყავით სადილად სილვიოსთან, ვსჳთ ჩუეულებრივ, ესე იგი, მალიან ბევრი; სადილთუკან დაუწყეთ თხოვნა მასპინძელსა, რომ დაგჳდოს ბანკი. ის დიდ-ხანს უარს ჰყოფდა, ამიტომ რომ თჳთქმის არასად არა თამაშობდა; ბოლოს უბმანა ქაღალდის მოტანა, გამოჰფანტა სტოლზედ ორმოცდა ათამდინ ოქროები და იწყო შლა. ჩუენ შემოვეხვიენით მას, და თამაშობა გაება. სილვიოს ჰქონდა ჩუეულება თამაშობაზედ სრულიად ჩუმად ყოფნისა, არას დროს არ ახირდებოდა და არც გააბასდებოდა. უკეთუ პანტიორს მოუვიდოდა ანგარისში შეცდომა, მაშინ ის გადუხდიდა დანაშთენს, ან დასწერდა მეტს. ჩუენ ვიცანით რა ამის ხასიათი, არ უშლიდით ხოლმე

იმას თავისებურს ბატონობასა: მაგრამ ჩუენ შორის იმყოფებოდა ერთი ოფიცერი, ჩუენთან ახლად გადმოსული, ისიც აქავე ჩუენთან თამაშობდა და გართობილს ფიქრში გადუკეცა მეტი კუთხე, სილვიომ აიღო მელი და შეათანასწორა ანგარიში თავის ჩუეულებრივ. ოფიცერს, ეგონა, რომ სილვიო სცდებოდა, იყო ახირება. სილვიო ჩუმად განაგრძელებდა დარიგებას.. ოფიცერი გამოვიდა მოთმინებიდამ, აიღო ჩოთქი და წაშალა იგი, რომელიცა ეგონა იმას ტყუილად დაწერილი. სილვიომ აიღო მელი და დაწერა ახლად. ოფიცერი, გაცხარებული ღჳნისაგან, თამაშობისაგან, დაცინვისაგან ამხანაგთა, შერაცხა თავი თჳსი დიდათ შეურაცხელათ, გაშფოთებაში წამოავლო კელი სტოლიდგან თითბრის შანდალსა და შემოსტყორცა სილვიოსა, რომელმანც ძლივს ააცდინა თავი მორტყმასა. ჩუენ აღჳრიენით, სილვიო ადგა, გაეჳთლდა ბრაზისაგან და

თუალების ბრიალით უთხრა: «მოწყალეო ჴელმწიფევ, ინებეთ გაბძანება, და ღმერთს მადლობა შესწირეთ, რომელ მოხდა ეს ამბავი ჩემს სახლში.»

ჩუჱნ უეჭუჱლნი ვიყავით ამ საქმის დაბოლოებაზედ; და ვრაცხდით ჩუჱნს ახალს ამხანაგს წინადვე მოკლულად. ოფიცერი გამოვიდა გარეთ და სთქუა, რომ მზათ არი შეურაცხებისათჳს პასუხი გასცეს როგორათაც თჳთან უფალი სილვიო ინებებს. ჩუჱნ ვთამაშობდით კიდევ რამდენსამე მინუტს, მაგრამ რაკი ვატყობდით, რომ მასპინძელს არა ეთამაშებოდა რა, დავიშალენით სათითაოდ და დავიფანტენით თავ-თავის ბინებზედ, და დავიწყეთ ლაპარაკი ახალს ვაკანსიაზედ.

მეორეს დღეს მანეჟში, ჩუჱნ ერთმანერთს ვკითხამდით, რომ კიდევ ცოცხალია საწყალი პორუჩიკი თუ არა, რომ ამ დროს თჳთონაც უცებ გამოგვეცხადა; ჩუჱნ ამავე

კითხჳთ მივიქეცით იმისაკენ. იმან გვპასუხა, რომ სილვიოსაგან არაფერი ცნობა არა მიუღია ჯერა, ჩჳენ გაგვაკჳრჳა ამ ანბავმა. მასუკან წავედით სილვიოსთან და ვნახეთ: იმას მიეკრა კარებზედ ტუზი, ტუზში მიერტყა ტყჳა და ტყჳას ესროდა კიდევ ტყჳას. იმან მიგჳღო ჩჳეულებრივ, არაფერი არ გაუხსენებია გუშინდელს ანბავზედ. გავიდა სამი დღე, პორუჩიკი იყო ისევ ცოცხალი. ჩჳენ გაოცებულნი ვკითხულობდით: სილვიოს არ უჩხუბნია? სილვიომ არ იჩხუბა. ის დასჯერდა მცირედს ბოდიშს და შარიგდა.

ცოტა არ იყო რომ ამ ანბავმა დაამცრო ჩჳენი ყმაწვილები იჭჳში, სილვიოს გამოჩენილობამ. გამბედაობის ნაკლულევანებას ყველაზედ ნაკლებ შეუნდობენ ვისმე ყმაწვილნი კაცნი, რომელნიცა გამბედაობაში უსაჟუოდ ხედამენ უმაღლეს ყოველთა კაცობრივთა ღირსებათა და მიუტევებენ ყო-

ველთა რიგთა შეცდომათა. ამასობაში ყოვე-ლივე იქმნა ცოტ-ცოტათი დავიწყებული, და სილვიომ შაისმინა კელახლად მუ̂ჱლი თჳსი განვლინება.

მარტო მეღა აღარ მეკროდა იმაზედ გული. მე მქონდა სიყმაწჳლითვე რომანუ-ლი აზრები, და პირველად მე ყუ̂ჱლაზედ უწინ ვიყავ საშინლად მიზიდულ კაცისაკენ, რომლისაც ცხოვრება იყო გამოცანა, და რომელიცა მეჩუ̂ჱნებოდა მე გმირათ რაღაცა საიდუმლოის მოთხრობისა. მეც უყუ̂არდი იმას; ასრე რომ ჩემთან არ წარმოსთქმიდა ხოლმე თჳს ჩუ̂ჱულებრივთა გესლიანთა ავთ-მეტყუ̂ჱლებათა და მელაპარაკებოდა სხუ̂ა და სხუ̂ა საგანზედ წმიდის გულით და სა-კჳრველის საამურებით. ხოლო შემდგომ უბედურის ღამისა ფიქრი, რომ გასვრილი პატიოსნება ამის არ იყო გაწმენდილი ამი-სავეს ნებით, არ გამომდიოდა თავიდამ და მიშლიდა მუ̂ჱლებურად მასთან გცევასა; მე

როცა იმას დავინახავდი. სილვიო იყო ძრიელ კონიერი და გამოცდილი, რომ ეს არ შაეშინა და არ გამოეცნო ამისი მიზეზი. აშკარათა სჩამდა, რომ მას ეს ადარდებდა; ასრე რომ მე შავნიშნე ორჯელად სურვილი ჩემთან მოლაპარაკებისა, მაგრამ მე ვერიდებოდი ამ გჳართა შემთხვევათა და სილვიო დამშორდა. მას აქეთ მე ვხედავდი ხოლმე იმას მხოლოდ ამხანაგებთან და ძჳელი, აღსნილი, გულმართალი ლაპარაკი მოსწყდა ჩჳენ შორის.

გართობილთ მცხოვრებთ სტოლიცისათა (*) არა აქჳსთ გრძნობა მრავალთა შთაბეჭდილებათა, რომელნიც მალიან ცნობილია სოფლებში ანუ მცირე ქალაქებში მსცოვრებთათჳს, მაგალითად, მოლოდინი ფოჩტის დღეთა. სამშაბათსა და პარასკევს ჩჳენი პოლკის კანცელიარია იყო ხოლმე სავსე ოფიცრებითა; ზოგი მოელოდა ფულებსა,

(*) სამეუფო ქალაქი.

ზოგი წიგნსა, ზოგი გაზეთებსა. პაკეტები ყოველთჳს აქავე დაიხსნებოდნენ ხოლმე, ახალი ამბავი გადმოიცემოდა, და კანცელიარია წარმოადგენდა უცხოველესს მხატრობასა. სილვიო მიიღებდა ხოლმე წიგნსა, გაადრესებულს ჩუენს პოლკზედ, და ჩუეულებრივ აქავე იმყოფებოდა. ერთხელ მისცეს იმას პაკეტი, რომელსაც ბეჭედი მაშინვე ააგლიჯა სახით საშინელის მოუთმენელობისა. როდესაც კითხულობდა წიგნსა იმას საშინლად უბრიალებდნენ თვალები. ოფიცრები ყველანი იყვნენ გართულნი თავ-თავის წიგნებით და ვერაფერი ვერ შენიშნეს. «ყმაწჳლებო» სთქუა სილვიომ «ვითარებანი მოითხოვენ ჩემს განშორებას და მივდივარ ამაღამვე; იმედი მაქუს, რომ თქუენ არ მეტყჳთ მე უარს უკანასკნელად ერთი კიდევ ჩემთან სადილის მირთმევისას. მოგელით თქუენცა, განაგრძელა მან, და მომიბრუნდა მე, გელით და უთუოთაც. ამ

სიტყჳთ იგი საჩქაროდ გავიდა; ჩუჱნ რაკი დავსთანხმდით ერთმანერთში რომ შევიკრიბნეთ სილვიოსთან, წავედით თავ თავის მხარეზედ.

მე მიველ სილვიოსთან დანიშნულს დროს და ვნახე თჳთქმის მთელი პოლკი იქ იყო, ყოველივე იმის ავეჯულობა იყო ჩალაგებული; დარჩენილიყუნენ მხოლოდ ტიტუჱლა დასურეტილი კედლები. ჩუჱნ დავსხედით სუფრაზედ: მასპინძელი იყო მალიან კარგს ქეიფზედ; და მსწრაფლად ის მხიარულება შაიქნა საზოგადო; პროპკები ტკაცუნებდნენ წამ-და-უწუმ, სტაქნები ჭქაფდებოდნენ და ისმებოდნენ უჯეროდ, და ჩუჱნ ყოველისავე მოწადინებულის გრძნობით ვისურვებდით წარმავალისათჳს კეთილ მგზავრობასა და ყოველსავე სიკეთესა. კარგა დაღამებული იყო რომ ჩუჱნ ავდექით სუფრიდამ. ოდესაც ვარჩევდით ქუდებს, სილვიო ყუჱლას ესალმებოდა, და ბოლოს მე მომკიდა

ჭელი და დამაყენა იმ წუთს, როგორც რომ ვაპირებდი გამოსვლასა. «მე უნდა თქუჱნ მოველაპარაკოთ.» მითხრა იმან ჩუმად და მე დავრჩი.

სტუმრები წავიდნენ: ჩუჱნ დავრჩით ორნივენი, დავსხედით ერთმანერთის პირ-და პირ და გაჩუმებულთ მოუკიდეთ ჩიბუხებს. სილვიო იყო დაჭმუნჭუჱბული; აღარ ეტყობოდა ნაკუჱალევიცა წელანდელის თჳს აღტაცებულის მხიარულებისა. ფერ დაკარგულსა ასდიოდა სახეზე ალმული; ამასთან ელვარე თუჱალები და სქელი კომლი, გამომავალი პირიდამ, აძლევდნენ ნამდჳლს ტარტარის სანახაობას. გავიდა რამდენიმე წუთი და სილვიომ მოსწყჳტა მდუმარება. «იქნება ჩუჱნ ერთმანერთი ველარ ვნახოთ», მითხრა იმან; «გამოსალმების დროს მე მინდოდა თქუჱნთან გამომჟღავნება. თქუჱნ ვგონებ შენიშნეთ რომ მე მცირედ რათმე ვრაცხ გარეშე პირთ ჩემზე კარვს გინა

ცუდს აზრსა, მაგრამ მე თქუენ მიყუარხართ და ვგონებ მე მექნებოდა საშიმოდ დამენაშთუნებინა თქუენს გონებაში ტყუილი აზრები».

ის დადგა და დაუწყო ჩამქუარს ჩიბუხს კეთება; მე ვიყავ ჩუმად, და თუალები მქონდა ჩაშუებული.

«თქუენ გეუცხოვათ,» განავრცელა მან, რომ მე არა ვსთხოულობდი კმაყოფილებას იმ მთვრალის ცნობა მისდილის რ** საგან; თქუენ თჳთონ იფიქრეთ, რომ, მე მქონდა ნება იარაღის გამორჩევისა დუელისათჳს და ამისგამო დარწმუნებულიც უნდა იყო, რომ იმისი სიცოცხლე იყო ჩემს კელში, და ჩემი თჳთქმის არ იყო საფიქრებელი. მე შემეძლო მიმეწერა ჩემი წყნარი გცევა ჩემის სულგრძელობისათჳს, მაგრამ მე არ მინდა დავიკვეხო უკეთუ მამემლოს მე დასჯა რ** ისრე რომ ჩემი სიცოცხლეც არ იყუეს განსაცდელში, მაშინ

მე არას დროს არ ვაპატიებდი იმას.

მე უცქეროდი სილვიოს განცჳფრებული ამ გჳარმა გულმართალმა ლაპარაკმა აღმრია მე. სილვიო განაგრძელებდა,

«ასრე სწორედ: მე არა მაქჳს ნება, რომ მივეც თავი ჩემი სიკჳდილის განსაცდელსა. ექჳსი წელიწადია მას უკან რაც მე სილა გამარტყეს, და მტერი ჩემი ისევ ცოცხალი არის.»

შეტყობის სურვილმა აღმიტაცა მე. «თქჳენ მას არ ეჩხუბეთ?... ვკითხე მე. «რომელის შემთხვევისაგამო განშორდებოდით ერთმანერთზედ?...

--მე ვეჩხუბე იმას, მიპასუხა სილვიომ, «და აჲ ნიშანი ჩჳენის ჩხუბისა.»

სილვიო ადგა და ამოიღო ბოყვიდგან წითელი ქუდი ოქრომკედის ფუნჯით და არშიით, მან დაიხურა თავზედ, ის იყო გახჳრეტილი ერთს გოჯზედ შუბლს ზევით.

«თქჳენ იცით,» განაგრძელებდა სილვიო,

რომ ვემსახურებოდი *** გუსარის პოლკში. ჩემს ხასიათს თქჳჱნ კარგათ იცნობთ: მე ვარ ჩჳჱული პირჳჱლობას, სიყრმიდგანვე მქონდა ამაზედ ძლიერი მიმხიდჳჱლობა. ჩჳჱნს დროში შმაგობა იყო მოდათ: მე ვიყავ პირველი შმაგი (ასეული) არმიაში. ჩჳჱნ გჳქონდა საქებურად ლოთობა: მე გადავაჭარბე ჩინებულს ბ.***სა, ალმკულს დ. დ-სავან. დუელნი ჩჳჱნს პოლკში მოხდებოდნენ ხოლმე წამ-და-უწუმ: მე ყველაზედ ვიყავ ან მოწამე, ან თჳთონ მოქმედი პირი. ამხანაგნი მე პატივს მცემდნენ, და პოლკის კომანდირნი, რომელნიცა იცჳლებოდნენ უჯეროდ, მიყურებდნენ მე, როგორც საჭირო ბოროტებასა.»

«მე მეუდროთ (თუ არა მეუდროდ) დავსტკბებოდი ჩემის დიდებით, რომ ამ დროს გაგწესდა ჩჳჱნთან ყმაწჳლი კაცი მდიდარი და გამოჩენილის გვარისა (არ მინდა ვსთქჳა იმის სახელი) ჩემს დღეში არ შავხჳჱ-

დრივარ ამ გუარს ბრწყინვალეს ბედისას! წარმოიდგინეთ სიყმაწვილე, ჭკუა, მშვენება, მხიარულება თვით უფროიერესი, ვაჟკაცობა, თვით უდარდელი, განთქმული სახელი. ფული, რომელისაცა არ იცოდა იმან ანგარიში და რომელნიცა მას არას დროს არ შემოაკლდებოდნენ; ახა წარმოიდგინეთ; რა გუარი მოქმედება უნდა ეწარმოებინა იმას ჩუენ შორის. უპირველესობა ჩემი შეირყა. აღტაცებული ჩემის დიდებით, ის იწყებდა ჩემის დამეგობრების მიზეზს; მაგრამ მე მივიღე ის ცივად, და იგი ყოვლისავე დაუნანიებელად განმშორდა მე. მე შემძულდა გამარჯუება იმისი პოლკში და ქალთა საზოგადოებაში შემიყუანდნენ მე უკანასკნელს განწირულებაში. მე დავიწყე მიება იმასთან ჩხუბისა, ჩემს ეპიგრამებზედ მიგო იმან ეპიგრამმებით, რომელნიცა მეჩუენებოდნენ ხოლმე მე ყოველთვის მოულოდნელად და უმახვილესად ჩემთა და, რომელნიცა რა

კითხი უნდა იყჳნენ შეუდარებელ სამხია-რულონი: იგი ჴხუმრობდა, და მე ვბრაზო-ბდი. ბოლოს ერთხელ ბალში პოლიაკის მებატონებთან შევესწარით ორნივე; მთელის საზოგადოების ლხინი იყო ისა და ამას-თანავე მასპინძლისაცა, რომელიცა იყო ჩემ თან კავშირებაში, მე მიბრაზდებოდა გული და ბოლოს უთხარ იმას რაღაცა გაუსხჳჳ-პავი ბრიყუღი სიტყჳა. ის აენთო თონე-სავით და გამარტყა სილა. ჩჳჳნ მივსცჳ-ვდით ხმლებსა: ქალები დაეცნენ გულ-შეწუ-ხებულები; და ჩჳჳნ ერთს წუთს გაგვაშვე-ლეს, და ამავე ღამეს წავედით სასროლ-ლად.

ეს იყო გათენების ჟამსა. მე ვიდექ და-ნიშნულს ალაგსა ჩემის სამის სეკუნდანტით, გამოუცხადებელის მოუთმენელობით მოვე-ლოდი მე ჩემს წინააღმდეგს. გაზაფხულის მზე ამოკიდა და თან და თან კიდეცა ცხე-ბოდა. მე ის დავინახე შორიდამვე, ის მო-

დიოდა ქუჩითი და მუნდირზედ ერტყა ხმა-ლი, მას მოსდევდა ერთი სეკუნდანტი. ჩუენ წინ მივეგებენით. ის მოახლოვდა. ეჭირა ქუდი ხელში სავსე ბალითა. სეკუნდანტი გაგვიზომეს ჩუენ თორმეტი ნაბიჯი: მე უნდა მესროლა პირუელად: მაგრამ აღრე-ულება ჯავრისა იყვნენ ჩემში ისრე ძლი-ერნი, რომ მე არა მქონდა იმედი კელის სიმარჯუსა, და რათა მიმეცა დროება გუ-ლის დაშოშმინებისა, უთმობდი სროლასა; ჩემი წინააღმდეგი არა მთანხმდებოდა. ავ-დექი და ვუარეთ წილი: პირველი რიგი ერგო იმას, მუდამ საყუარელს ბედნიერისას. მან დამიმიზნა და გამიხურიტა ქუდი. რიგი დარჩა ჩემზედ. სიცოცხლე იმისი იყო ძლივს ჩემს კელში; მე უცქეროდი მას ხარბად, და ვმეცადინობდი მომეპოვა აჩრდილიც არის შიშის აღრეულობისა.ის იდგა შეუპოვრად ტამ-ბაჩის ქუეშ, და გამოარჩევდა წიფეთა მბალთა და გამოაფურთხებდა კურკათა, რომელნი თჳთ-

ქმის ფესებში მსვლებოდნენ. ამისმა შეუშფოთელობამ გამაცოფა. რა სარგებლობა მექნება, ვიფიქრე მე, განუაშორო ეს ეხლა სიცოცხლესა, როდესაც ეს თჳთონ თჳს სიცოცხლეს სრულებით არაფრად აფასებს? ბოროტმა ფიქრმა მიელვა მე თავში და დაუმჳ ტამბაჩა. «თქუენ, ვგონებ; ეხლა სასიკუდილოდ ჯერ არა გცალიანთ, ამიტომ რომ ჯერ თქუენ ინებებთ საუზმესა და მე არ მინდა რომ მოგაცდინოთ.» «თქუენ სრულიად არას ფერს მიშლით,» მიპასუხა გულგრილად იმან, «ინებეთ სროლა, მაგრამ, თქუენი ნება იყუეს, სროლა თქუენი დამთება თქუენზედვე; მე ყოველთჳს მზად ვიქნები პასუხის გებად.» მე მიუბრუნდი სეკუნდანტებს და განუცხადე, რომ დღეს არა მსურს სროლა, და ჩუენი დუელში გამოთხოვნა ამითი გათავდა.«

«მე გამოველ სამსახურიდამ და განუდევ ამა ადგილას. მას აქეთ არც ერთი

დღე არ გასულა რომ არ მეფიქროს ზღუა-ზედ. და ან ჩემი საათი დამდგარა...

სილვიომ ამოიღო ჯიბიდამ დილით მიღებული წიგნი, და მომცა მე წასაკითხად, ვიღაცა (ეტყობოდა თჳსი მინდობილი საქმებში) სწერდა მას მოსკოვიდამ, რომ ცნობილი გუამი უნდა შეუღლდეს კანონიერის ქორწინებით ყმაწჳლს და მშუჳნიერს ქალთან.

«თქუჱნ გენიშნებათ,» სთქუა სილვიომ, «ვინც არის ეს ცნობილი გუამი. მივდივარ მოსკოვს, და ვნახოთ კიდევ ისრე აუღრეველად მიიღებს სიკუდილსა, თავის ქორწინ წინა, როგორც ოდესმე ბალზედ თუ არა?»

რა გაათავა ეს სიტყუა სილვიო ასდგა, დააგდო მირს ქუდი, დაიწყო ოთახში წინ და უკან სიარული, როგორც ვეფხუმა თჳს ყაფაზაში. მე უგდებდი ყურსა გაუნძრევე-ლად; საოცარნი, წინააღმდეგნი გრძნობანი მერეოდნენ მე გონსა.

მსახური შემოვიდა და მოახსენა, რომ ცხენები მზად არიანო. სილვიომ მაგრა დამიჭირა ხელი; ჩვენ ვაცოცეთ ერთმანერთს ის ჩაჯდა ტელეგაში (*) სადაცა ეწყო ორი ჩამადანი, ერთი ტამბაჩებით, მეორე მის ქონებით. ჩვენ გამოვესალმენით კიდევ, და ცხენებმა გასწიეს.

## II

გავიდა რამდენიმე წელიწადი. და საჭირო საქმებისაგამო მე დავსახლდი ღარიბს სოფელში * * * * უეზდში. თუმცა მუდამ ვსაქმობდი და ვვლიდი სახლკარსა, მაგრამ მაინც კიდევ მაგონდებოდა ჩემი უწინდელი უფიქრელი გართული ცხოვრება სუყველაზედ უფრო მიძნელდებოდა შაჩვევა გაზაფხულისა და ზამთრის საღამოთა გატარებისა,—ნამეტნავად როცა მარტო ვიყავი. სადილობამდინ როგორც იყო გავატარებდი

(*) რუსული ოთხ თვალიანი ურემი. მთ.

დროს ყბედობით ნაცუალთან სიარულით სა-მუშაკოებში, ანუ დავლით ახალთა შენობა-თა, ხოლო, როდესაც დაიწყებდა ბინდებას, მე სრულებით არ ვიცოდი, სად წავსულ-ვიყავ. მცირედი რიცხჳ წიგნთა, რომელნი-ცა ვიპოვე მე შკაფს ქუჩში და სარდაფში მქონდა გაზეპირებულნი. ყოველნივე ზღაპ-რები, რომელნიცა კიდევ ახსოვდა მეგა-სალებეს კირილოვნას, მქონდა სრულიად მოთხრობილნი; სიმღერანი დედაკაცთა მო-მგჳრიდნენ კაეშანს. ცოტა არ იყო მივყავ კელი შეუნელებელს ნალივკას, მაგრამ ისიც თავს მატკივებდა; და უნდა გავსტყდე, რომ კიდეც მეშინოდა არ შავიქმნა ჯავრისაგან მწარე ლოთი მეთქი, ესე-იგი უუმწარესი ლოთი. რისაც მაგალითი ვნახე მრავალი ჩუჩნს უეზდში.

ახლო მეზობლები არა მეუანდნენ, გარდა ორთა ან სამთა მწარე ლოთთა, რომელთაც საქცევა შეზდგებოდა უმეტესი ნაწილი მწუ-

ხარებაში და ოხჳრაში. იმათთან დროების გატარებისა ისევ მარტოობა სჯობდა· ბოლოს გადავსწყჳტე დაწოლა ადრე და სადილი რაც შეიძლებოდა გჳან; და ამ გვარად შევამოკლე საღამონი და მოუმატე სივრცე დღესა და აღმოვაცენე, რამეთუ ესე კეთილ არის.

ოთხს ვერსზედ ჩჳენიდგან იმყოფებოდა გაკეთებული პომესტიე: (*) რომელიც ეკუთვნოდა გრაფინა ბ * *; მაგრამ მაშინ სცხოვრობდა მხოლოდ მოურავი, და გრაფინამ განანათლა თჳსის ყოფნით პომესტიე, მარტო ერთხელ, პირჳელს წელიწადს ქმრის ხელში, და იქ არ დარჩენილა ერთს თვეზედ მეტმა. და მეორეს გაზაფხულზედ, ჩემის განდეგილებისა, გაისმა ხმა, რომ საზაფხულოდ გრაფინა მოვა თავისის ქმრით თჳსს სოფელში, მართლადაც ისინი მოვიდნენ დამდეგ თიბათჳსს.

---

(*) საბატონო მამული სოფელში,

მოსჳლა მდიდარის მეზობლისა არის სახსოვარი ეპოხა (*) სოფლებში მცხოვრებ-თათჳს. მებატონები და მათი მსახურები ლაპარაკობენ ამაზედ ორის თჳს წინად და წასვლის შემდგომ სამს წლამდის. რაჲცა შემეხება მე, უნდა გავსტუდე, რომ ცნობა მოსჳლისამ ყრმაწჳლის და მშჳ[illegible]ერის მე-ზობლისამ იმოქმედა ჩემზედ ძლიერად; მე ვიწოდი მის ნახჳს მოუთმენებლობისაგან და ამისაგამო პირჳელს კჳრეს მის მოსვ-ლისა შემდგომ გავსწიე სადილთ-უკან სო-ფელს *** გამოსაცნაურებლად [illegible] ბრწ-ყინჳალებისა, როგორათაც მახლობელი მეზობელი და უფლად უმორჩილესი მონა.

ბიჭმა შემიყჳანა მე. გრაფის კაბინეტში და თჳთონ წავიდა, რომ მოახსენოს ჩემი მოსჳლა. დიდი კაბინეტი იყო მოკაზმული ყოველ შესაძლებელის მდიდრულ შემკულე-

---

(*) ეპოხა არის ღირსი სახსოვარ შესანიშნავი დრო, უმეტეს სხჳათა დროთა. მთ.

ბითა; კედლებთან იდგნენ შკაფები სამსე წიგნებითა და ყვლეაზედ იყო ბრონზის ბიუსტი; მარმარილოს ბუხარზედ იყო განიერი სარკე; პოლი იყო გაკრული მწჳანეს მაუდით და დაგებული ხალებით. გადაჩჳეული სიმდიდრესა ჩემს ღარიბს კუთხეში, და დიდის ხნის უნახავი სხჳს სიმდიდრისაცა, მე შევკრთი და ველოდი გრაფსა რალაცა მრწოლით. როგორადაც პრავინციელი (*) მოჩივარი ელოდეს გამოსჳლას მინისტრისას. კარები გაიღო და შემოვიდა ყრმა ერთი ოცდა თორმეტის წლისა: მშჳენიერის შესახედაობისა. გრაფი მომიახლოვდა მეგობრულისა და მხიარულის სახით. მე დავიწყე თავის მაკრება, და ვიწყობდიცა რეკომანდიციას, მაგრამ გრაფმა დამასწრო მე. ჩჳენ დავსხედით. ლაპარაკმა მისმა ალსნილმა და ალერსიანმა, მსწრაფლად დამი-

---

(*) სამეუფოს ქალაქს გარე ქჳეყნებს, მხარეებს, ჰქჳან პრავინცია. მთ.

ფანტა ჩემი გაგარეულებული მოკრძალეობა; მე ვიწყე მდგომარეობა ჩემის ჩჳეულებრივის ყოფნისა, რომ ამ დროს შემოვიდა გრაფინა. და აღრეულებამ შემიპყრა მე უმეტეს წინანდელისა. მართლადაც ის იყო მშჳენიერი. გრაფმა წარმადგინა მე: მე მინდოდა ვჩჳენებულვიყავ მამაცად, მაგრამ რამდენსაც ვსცდილობდი მიღებას შეუჭირჳებლობის სასისას, იმდენი უფრო ვგრძნობდი სეპრეობასა. მათ რათა შომცენ დროება თავის მოპოებისა და შამაჩჳონ ასლად გაცნობასა, იწყეს ლაპარაკი ურთიერთ შორის და მე მექცეოდნენ უკრძალველად, როგორათაც კეთილმეზობელს. ამ დროს მე ვიწყე წინ და უკან სიარული, დაუწყე მინჯვა წიგნთა და მხატრობათა. მხატრობას მე ვერ ვიცნობ, მაგრამ ერთმა სურათმა მიიზიდა ჩემი გონება, ის წარმოადგენდა რაღაცა სახედაობასა შჳეიცარისას. მაგრამ მე განმაცჳფრა არა მხატვრობამ, არამედ

მან, რომ მსატრობა იყო ორის ტყჳთ გა-
ხჳრეტილი, რომელნიცა იყვნენ მიტყუებუ-
ლნი ერთმანერთზედ. აჰ კარგი «ნასროლი»
ვსთქჳ მე მივბრუნდებოდი რა გრაფისაკენ.-
«დიახ» მიპასუხა მან, «ნასროლი მალიან
შესანიშნავია. თქჳენ კარგათ ისვრით?» გა-
ნავრცელებდა იგი.—«რიგიანად ვესვრი,»
უპასუხე მე, გახარებულმა; რომ ლაპარაკი
შეეხო მლივს საგანს, ჩემდა მახლობელსა;»
ოცდა ათს ნაბიჯზედ არ დავაცდენ სათა-
მაშო ქაღალდსა, მხოლოდკი ნაცნობის ტამ-
ბაჩიდამ.—«მართლად» სთქჳა გრაფინამ, სა-
ხიდ დიდის ყურადღებისა; «შენ, ჩემო სუ-
ლო მოარტყამ ქაღალდს ოცდა ათის ნაბი-
ჯზედ?»—«ოდესმე ჩჳენ ვსცდით,» უპასუხა
გრაფმა.» თავის დროზედ მე ურიგოთ არ
ვისვროდი; მაგრამ აგერ ოთხი წელიწადია
ტამბაჩა ხელში არ ამიღია.—«ო.» შავნიშნე
მე, «მაგ შემთხვევაში, თქჳენო ბრწყინვა-
ლებავ, დამენაძლევებით, რომ ვერ მიარ-

ტყამთ ქაღალდს ვერც ოცს ნაბიჯზედ: ტამბაჩა საჭიროვებს ყოველ დღივს ვარჯიშობასა. ეს მე თჳთონ გამომიცდია. ჩჳენს პოლკში მე ვიყავ ერთი საუკეთესო მესროლთაგანი. ერთხელ შემემთხჳა მე რომ სრული ერთი თჳე კელში არ ამეღო ტამბაჩა: ჩემები იყჳნენ გასაკეთებლად; თქჳენ რა გგონიათ, თქჳენო ბრწყინვალებავ? პირველად, რომ დავიწყე სროლა, მე ავაცდინე ოთხჯერ ბუთლიკასა ოცდა ხუთს ნაბიჯზედ. ჩჳენში იყო ერთი როტმისტრი, საშინელი ოხუნჯი და ისიც იქ შაგჳემთხჳა ამ დროს და მითხრა მე: სჩანს, რომ შენი კელი ვერ იმეტებს ბუთლიკასაო, არა თქჳენო ბრწყინვალებავ, არას დროს არ უნდა გააგდოს კელიდამ ტამბაჩა, თორემ ის-ის არის მაშინვე გადაეჩვევა კაცს კელი. ერთი საუკეთესო მესროლი, რომელსაცკი შავმთხჳევივარ მე ჩემს სიცოცხლეში, ისროდა ყოველ დღე, ცოტა, ცოტა, სამჯერ მაინც

სადილს წინად, ეს ჰქონდა მას ჩჳეულებად, როგორც რიუკმა ოტკა. გრაფი და გრაფინა გამხიარულდნენ რომ მე ამოვიდგი ენა. «ის როგორღა რასმეს ისროდა?» მკითხა მე გრაფმა. «აჲ როგორა, თქჳენო ბრწყინვალებავ: რომ დაინახამდა, რომ კედელზედ ბუზი დასჯდა, თქჳენ იცით გრაფინავ? ღმერთმან იცის მართალია. როგორც დაინახამდა ბუზსა და დაიმასხებდა: კუზკა ტამბაჩა! კუზკა მაშინვე მოუტანდა გატენილს ტამბაჩასა. ის,ტკაც, და მაშინათვე მიასრესამდა კედელზედ ბუზსა!--«ეგ საკჳრველია!» სთქჳა გრაფმა; «რა ერქო იმასა?» «სილვიო, თქჳენო ბრწყინვალებავ.» «სილვიო!» შაჰყჳრა გრაფმა, და წამოსტა თავის ალაგიდამ, «თქჳენ იცნობდით სილვიოსა?»-«როგორ არ ვიცნობდი, თქჳენო ბრწყინვალებავ! ჩჳენ მეგობრები ვიყავით; ის ჩჳენს პოლკში როგორც ძმა და ამხანაგი ისრე იყო მიღებული; და აგერა ხუთი წელიწა-

დი მეტია რაც აღარა მაქუს მაზედ .არაფე-
რი ცნობა. მაშ, თქუენო ბრწყინვალებავ,
თქუენცა გქონდათ იმისი ცნობა?»--ვიცნობ-
დი. არა უანბნიარა იმას თქუენთჳს ერთი
ფრიად საოცარი თავს გადასავალი?»--«სი-
ლა ხომ არა თქუენო ბრწყინვალებავ, რო-
მელიც გაერტყმია იმისათჳს ბალში ერთს
ვიღაცა ჭირუეულსა?--«გითხრათ თქუენ იმან
სახელი იმ ჭირუეულისა»--«არა თქუენო
ბრწყინვილებავ, არ უთქუამს... ახ! თქუენო
ბრწყინვალებავ,» დავიწყე კიდევ მე: რაკი
მივხვდი საქმის მდგომარეობასა. «უკაცრა-
ვად... მე არ ვიცოდი.... თქუენ ხომ არა
ბძანდებოდით?...» «მე ვარ თჳთონ,» მიპასუ-
ხა გრაფმა, სახით საშინელის მოშლისა; და
გახურეტილი მხატვრობა არის ნიშანი უკა-
ნასკნელის ჩუენის შეჯახებისა.»--«ახ, საყ-
უარელო ჩემო,» სთქუა გრაფინამ, «შენის
ღუთის გულისათჳს ნუ ანბობ: მაგ ამბის
გაგონება ჩემი სიკუდილია.» არა, უპასუხა

გრაფმა;» მე ყველას უამბობ; მაგან იცის როგორ შეურაცხვყავ მე მაგის მეგობარი და დღე შეიტყოს როგორც სილვიომ მე გადამიხადა.» გრაფმა მომიწია მე კრესლო, და მე უუმასჯლესის ცნობის სურვილით მოვისმინე შემდგომი ამბავი:

«მას აქეთ ხუთი წელიწადია რაც მე ცოლი შევირთე. პირჳელი თჳე, გავატარე მე აქა, ამ სოფელში. ამ სახლში გავატარე მე საუკეთესო მინუტები ჩემის სიცოცხლისა და ერთი უმძიმესი მოსაგონარიცა.»

«ერთხელ საღამოზედ ვისეირნეთ ჩჳენ ცხენებით; ცხენი ჩემის ცოლისა როგორღაც გაჭირჳეულდა, ქალი შეშინდა, მომცა მე სადავე ცხენისა და წამოვიდა თჳთან ქჳეითი შინა. კარებზედ დავინახე სამგზავრო ტელეგა; მე მითხრეს, რომ ჩემს კაბინეტში მელის კაცი, რომელმანცა არ ინება გამოცხადება თავის სახელისა, და ეთქჳა, რომ მას აქჳს ჩემთან საქმე. მე შემოველ ამ

ოთახში, და დავინახე სიბნელეში კაცი, მტჳერში მოსვრილი და წჳერ გამოშჳე-ბული: ის იდგა აქა ბუხართან. მე მიველ იმასთან, და მინდოდა მომეკონებინა მის სახის მეტყჳელება,—«შენ ვერ მიცან მე, გრაფო? მითხრა მან ხმის კანკალით.—«სი-ლვიო!» შევყჯრე მე, და უნდა გავსტყდე, რომ მე ვიგრძენ, როგორც ერთბაშად თმა ამეშალა თავზედ.—«სწორედ,» განავრცელებდა იგი; «სროლა ჩემზედ არის, მე მოველ დავცალო ჩემი ტამბაჩა; მზათ ხარ შენ თუ არა? «ტამბაჩას გამოეშჯრა ტუჩი მის გჳერ-დის ჯიბიდამ. მე გავზომე თორმეტი ნაბი-ჯი, და დავდეგ აჲმ კუთხეში, ვსთხოვდი, რომ მალე ესროლნა, ვიდრე ჩემი ცოლი არ დაბრუნებულიყო. იმან დაიწყო ყოყმობა და მოითხოვა ცეცხლი. მოუტანეს სამთე-ლი,—მე ჩავკეტე კარები, და აღუკრძალე ყველას ოთახში შემოსვლა. და კიდევ და-უწყე თხოვნა რომ ესროლნა. მან ამოიღო

ტამბაჩა და დამიმიზნა... მე ვსთვლიდი სეკუნტებსა, და გონება მქონდა ჩემის ცოლისაკენ... საზარელი წუთი გავიდა! სილვიომ დაუშუა ტამბაჩა.—ვსწუხვარ, სთქუა სილვიომ, რომ ტამბაჩა არ არის გატენილი ბლის კურკებითა... ტყჳა მძიმეა. მე სულ მგონია, რომ ჩუენ გვაქუს არა დუელი, არამედ უბრალო სიკუდინება: მე არა ვარ ჩუეული უიარაღოს უმიზვნიდე. ვიწყოთ ხელ ახლად; ვყაროთ წილი და ვისაც ერგოს იმან ესროლოს წინათა.» მე თავი მიტრიალებდა... ვგონებ მე არა ვსთანხმდებოდი.. ბოლოს ჩუენ კიდევ გავსტენეთ ერთი ტამბაჩა; დავასჳეთ ორი ბარათი; იმან ჩააწყო ისინი, ოდესმე ჩემგნით გახურეტილს ქუდში; მე ამოვიღე კიდევ პირუელი ნომერი.

—«შენა გრაფო. ეშმაკის ბედისა ხარ,» მითხრა იმან ღიმილით, რომელიცა თავის დღეში არ დამავიწყდება. არ მესმის თუ

რა იყო ჩემს თავსა; და რა გჳარ მიმაღწევინა იმან იქამდის... მხოლოდ მე ვესროლე, და მოვარტყი ამ მხატვრობას (გრაფი მაჩჳჱნებდა თითით გასჳრეტილს მხატრობას; სახე მისი ენთო როგორც ალი, გრაფინა იყო უფეროდ თჳთ თავის კელსახოცზედ: მე ვერ შევიმაგრე თავი დაეკრებისაგან.)

«მე ვესროლე,» განაგრძელებდა გრაფი, «და მადლობა ღმერთსა, ავაცდინე; ამ დროს სილვიო... (ამ წუთში, ჭეშმარიტად, ის იყო საშიშარი) სილვიომ დამიწყო მიზჳნა, უცებ გაეღო კარები, მაშა შემოვარდა, და კივილით დამეკიდა კისერზედ. მისმან დასწრებამან, დამიბრუნა მე სრული მხნეობა, «საყჳარელო,» უთხარ მე ამას, «განა შენ ვერ ხედავ, რომ ჩჳჱნა ვხუმრობთ? რაღამ შეგაშინა! წადი დალიე ერთი სტაქანი წყალი და შემოდი ჩჳჱნთანა; მე წარმოგიდგენ შენ ჩემს ძველს ამხანაგს და მეგო-

ბარ'.ი მაშინ არ დამიჯერა და ჰკითხა საზარელს სილჯოს «მითხარით, მართლა ანბობს ჩემი ქმარი?, რომ ვითომც თქჳენ ჰხუმრობდეთ?--«ეგ ყოველთჳს ჰხუმრობს, გრაფინავ, უპასუხა ამას სილვიომ; ერთხელ გამარტყა მაგან სილა ხუმბრობით, ხუმბრობით გამისჳრიტა აჲ ეს ქუდი, ტყჳთ ხუმბრობით ამაცდინა ესლა ნასროლი; ახლა მეც მოველ ხუმბრობის ქეჲფზედ... რა დაასრულა ეს, მიპირებდა იგი დამიზჳნას..... ნეტა თუ ვისთან?--ამასთანა! მაშა დაეცა მის წინ დაჩოქილი--«ასდეგ, მაშავ, სირცხჳლია!» დავიძახე მე გაცოფებით; და თქჳენცა ყმაწჳლო, როდის დასწყნარდებით აგდებისაგან უბედურს დედაკაცისა? მესვრით თუ არა? «არ გესვრი.» მიპასუხა სილვიომ, «აი ვჯერვარ: მე გნახე შენ შეშფოთებული, და შემკრთალი; მე გასროლინე ჩემთჳს და ჩემთჳს ეს საკმაო არის. მე შენ გექნები სასსოვრად, და ახლა გაგდებ შენ შენს სინი-

დისს ქჳეშ. ამ დროს დააპირა გასვლა, და უცებ შესდგა კარებთან, შეისედა ჩემსგნით გასჳრეტილს მხატვრობისაკენ, ესროლა თჳთქმის დაუმიზნავად, და მიგჳეფარა. ცოლი ჩემი ეგდო უგონოდ; ბიჭებმა ვერ შებედეს დაყენება და საშიშროებით უყურებდნენ მას, ის გამოვიდა დერეფანზედ, და დაუძახა იამშჩიკს, და მინამ მე გამოვირკჳეოდი ალრეულობიდამ.»

გრაფი გაჩუმდა. და ამ გვარ მოვისმინე მე ბოლო მოთსრობისა, რომლითაც დასაწყასი ისე მანცჳფრებდა მე. გეროჲს ამისის მე აღარ შევსვედრივარ. ამბობენ რომ ხილვიო ჟამსა აღრევისა ალექსანდრე იფსილანტისა, წინამძღრობდა ოტრიადს ეთერისტებს და იყო მოკლული სკულიანების ბრძოლაში.

ან. ფურცელაძე.

**1860** წელსა, მაისის **5**-სა დღესა. ქ. გორი.

დასასრული.

# დილის ხმაზედ.

## მთვარე.

ახ, მთვარევ, მთჳარევ, დამწჳართ იმედო!
მსურს ჩემი ტანჯვა შენც გაგიბედო.
მთჳარევ, ხომ გახსომს ის ტკბილი ღამე,
მხოლოდ შენ იყავ იმ დროს მოწამე,
შენის ვერცხლებრივ ნათლით მოსილნი,
ხის ძირს ვისხედით, გვდიოდა ცრემლნი.,.
გხსომს, რა სიტყჳთ იგი ბედს ჰსწყევდა,
რომელიც იმას მე მაშორებდა....
იმისი ფიცი, იმის იმედი
ეახლაც ყურთ მესმის, და გვნესის გული,
მაგრამ სად არის ჩემთჳს ის ბედი,
რომ განმიახლოს მან სიყჳარული...
ნუ თუ იმ სიტყჳჱბს ჰსწერდა ყინულზედ,
მაშ მე რათ შემრჩა ესრე ღრმად გულზედ!
მთჳარევ შენ მოგთხოვ ჩემს საყჳარელსა,
მონახე იგი ყოველ მხარესა.
თუ ნახო, მთვარევ. ჩემი მტანჯჳჱლი,
უთხარ იმ ხის ძირს ყოველ ღამ ველი.
უთხარ, რათ მტანჯავს, რათ არ მიბრალებს
რატომ არ მოვა და არ მახარებს.—
თუ ნახო, რომ ის უალერსებს სხჳას,
ნუღარას ეტყჳ, სულ ნუ გაჰსცემ ხმას,
მაშინ ამ ხის ქჳჱშ მოვიკლავ მე თავს
და ქჳჱყნად მოვჰფენ ჩჳჱნს მწარე ამბავს.

გ. რჩეულოვი.

## ქალების ისტილათი.

დაჰკარ დაირას დაო გულქანდი,
ლეკური ქალო! წმახვნითა კლაკვნით.
მაგ ხეივნიდამ შენ გამოქანდი!
გაშალე მკლავი სპეტაკი ყელი,
ჩამოურბინე ვით ნაზი ქალი;
აწ ძლივს დრო შაგვხუდა თავის-უფალი!

ოჰ! დაჰკარ დაჰკარ, მაგ დაირასა—
შენც დიმპლიპიტო დაარახუნე!
რა დროს ოხვრაა, რას ანბობ რასა....
მოწყჳტე ვარდი ლამაზ დასუნე—
და ასე უთხარ: ბედნიერ გსახავ,
თუ შემდგომშიაც ამ ფერით გნახავ!

ჩამოურბინე ახლა შენ ნინა.
ნეტა რა არის, რამ მოგაწყინა!
ლამაზი ბაღი, ეს წყლისა კიდე,
ბუნება შენცა ჩუენებრ ადიდე!!
გაშალე მკლავი, გვაჩუენე ცეკო
ამდენი ხვეწნა რა არის გეყო!

შენ დაჰკარ ქალო არ დაიღალო,
მაგ ბროლის თითებს მიეცი შრომა,
კამპანიასა შენ დაგვაგვალო,
შექცევა. ლხინი და ეს განცხრომა!

აბა გატოჯან! შენც მოგვალხინე,
შენც ხეივნიდგან გამოირბინე!

ოჰ! ხოხობია? ოჰ! კაკაბია?
ყელს მარგალიტის ღილი აბია!

აწ რიგი შეჰხვდა ქალსა ქეთევანს,
ქარვისა მარცუალს, ყურძნისა მტევანს!
გასძარი ქალო ეგ ნაზი წელი,
მარგალიტი ხარ ძჳრფასი ძველი!

ძლივს თავისუფლად ამოვისუნთქეთ,
მარტო ქალებმა ძლივს ვიქეიფეთ!
ამბობენ ჩუენ ვართ თავისუფალნი;
მარამ ყოვლის ფრით ჩუენ ვართ საწყალნი,
ქალს არ შაეძლოს მართალი რამ ჰსთქუას,
ან დედამთილთან და ანუ ქმართან;
აბა ამ ცეცხლში ნეტა მან რა ქნას.
რომ ვერ იღებდეს იგი შიშით ხმას.

წყლისა კიდესა, ქართულს სუფრის გარს,
შემოსხდომიან ჯგუფად ქალები!
მტკუარს მობუტბუტეს გადასცქერიან,
მას შეჰხარიან ზედ დაჰმღერიან!

ოჰ! ამ წყლის სიო, ქალო სოფიო,
მასთან შრიალი აქ ხეებისა!
კარგი ის არის ღამე ათიო—
ზედ დაგდიოდეს წუეთი ნამისა!

თუ თხუთმეტისა ის ბადრი მთვარე
ზედ დაჰნათოდეს შენს მშუენებასა,
და თუ იმ დროსა ეშხით მღიმარე—
დაემონები გულის ნებასა...

ნეტა მას დროსა რა შაედრება,
ოდეს წარსრული მოგაგონდება!
ამაუად იტყჳ კვლავ შამომცინე—
და შენი სახე წარმომიდგინე!...

ახლავე დროა ვსვათ სადღეგრძელო,
გამოცხადება: ვისაც ვინ უყვარს!
აბა დაიწყე ქალო ფეშელო,
გრძნობა შევსწიროთ ამ მდინარეს მტკჳარს!

ღმერთმა ადღეგრძელოს ჩემი ბართლომე,
მიყჳარს ჩემის კეთილის მდომე!
მშჳენივრად უკრავს ქალებო თარსა,
სიმღერას ამბობს გასაოცარსა.

ალავერდი აი! დავცალე, ქალო გულქანდი,
ოჰ! ადღეგრძელოს ის ჩემი ვარდი!
ის მშჳენიერი და დარდიმანდი—
ჩემი იოთამ კოხტა და მარდი!

ალავერდი დაო ნინუცი, ახლა შენ იცი!
ოჰ რა ვქნა, არა მყავს მე საყვარელი,
ეჰ! ადღეგრძელოს ჩემი ვასილი,
კარგის ენისა კარგად გაზდილი!

ალავერდი კატოჯან აბა!!
ღმერთმა მიცოცხლოს ჩემი ბებენა—
მისი ჭიკჭიკი ბულბულის ენა!
მისი თათბირი, მისი მოლხენა....

ალავერდი ნატალია! აბა სწორეთ!!

ვიტყჳ რა ვქნა: ღმერთმა აღდეგრძელოს ჩემი ტიტია
მოღუღუნეა კითა გრიტია!

გამოცხადებაც ხომ გავათავეთ,
აბა გენაცვა ახალი პური!
გულის წადილი ხომ ავითავეთ
აქეთ მომხედეთ დამიგდეთ ყური!

ლამაზის ხმითა, მოვსთქუათ სიმღერა,
მარამ ვაითუ დაგვიწყონ მზერა!
და რა იქნება! დეე!—გვიყურონ—
ხიამის ნამი მათცა იპკურონ!

ნატალია! მოჰყევ, შენ უფრო სხუაზე—
ეშხისა ალით ჰკგონებ იწუწბი!
აბა გენაცვა! ლამაზსა ხმაზე,
შენი სიმღერა ყველთჳს ნაქები,
ჩუენსა კრებასა, კვლავ გააგონე
და შენნი მცქერნი ნუ დაღონე!—

ოჰ! გული დამიწყებს უცებ ცემასა—
და თვალებიდგან ცრემლის დენასა;
ოდესაც ვიტყჳ: ოჰ! დილავ—დილავ,—
იმ დროს ისე ვარ თითქმის მძინავ....

კარგია ქალო, რა დროს ეგ არი,
შენ შემოგცქერის ეს კამპანია!
თქჳ როგორც იცი, თქჳ როგორც არი—
აღარა გვრჩება მეტი ხანია!

ასაყუარელო შენსა გრძნობას, რათ არ მიძღვნი, რათ ახანებ,

მითხარ სწორეთ ჩემს გულს გარე სხვების გულსაც
ითაყვანებ?»

. . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . .

რა ნატალია ამას მღეროდა.
ჩჳენი გამდელი შორით უმზერდა—
პირჯჳარს იწერდა ასე ამბობდა;
ოთხმოცის წლისა აგერ გავხჳდები,
მართალსა ვანბობ მე არ წავწყმდები.
ყველა უნახავს ამ ჩემს თვალებსა—
ცრემლით ვიგონებ ძჳელისა ქალებსა!

დიდს მეჯლიშებში მე შევსწრებივარ;
მარამ ამ ამბავს არ მოვსწრებივარ;
პარასკევს დღესა ჭამონ სასხნილო,
ვჰგონებ, რომ იყოს ეს სასაცილო?

ვისაც ვინ უყვარს ცხადათ ახსენონ,
სახელის თქმაცა არ შაირცხვინონ!
ღმერთო მამკალი რათ ვარ ცოცხალი,
ქალი უნდა იყოს თავისუფალი?..

ვარდო! რას ანბობ. რაებსა ჰსჩმახავ,
რა რომ ვასრულებთ გულის ნებასა!
ამისა შემდგომ უფრო მეტს ჰნახავ,
განათლებასა დიდსა შვებასა!

განათლებასა? დაბრმავებასა!
და უსირცხვილოდ მაგ-გვარ შვებასა,
რა განათლება—თავისუფლება?

თქუენში კეთილი რაღა იქნება?

ვუი! ვინღაც მაღალი, სახე ლამაზი—
აგერ მოაბიჯებს ტურფა და ნაზი!
ნეტა ვინ არის აქ რისთჳს მოდის,
ან ვის უნახავს აბა ეგ როდის!
აი! მოვიდა! შახეთ ღიმილსა—
ნუთუ აპირებს ამ ხეს ჩუენ მილსა?—

აქ ნატალია უკთელ წითლდება,
საშინლად სახე მას უფითრდება!
რა არის ქალო, რა დაგემართა,
მას ეუბნება ჭიკანი მართა!
დეე მოვიდეს, ვითომც რა არი,
ეს სუფრა, ლხინი ყველა მზა არი!

შენი ჭირიმე გვითხარ ვინ არი;
სახელი მისი და ნუ გჳარი!
მოიპატიჟე თუ რომ მცნობია—
და ჩუენს კრებაში მისანდობის!

ოჰ! რაღა გითხრათ ჩემი ტიტია,
ტკბილ მოღუღუხე ჩემი გვრიტია!
გამოვაცხადე აგი სახელი,—
ვისაც ვინ უყვარს, რომ გიახელი!

კიდევ მოდიან აგერ ქალები—
ანა, ფეფე და სიდონია.
ლოტო გავშალოთ გენაცჳალები,
ოჰ! ამ კრებასა მოსაწონია.

მოდი გენაცჳა, ქალო კატატო,

მოდი გავშალოთ ჩჳეულებრ ლოტო,
ჯანი გავარდეს დროს გავატარებთ
დაჩაგრულს გულსა, წუთს გავახარებთ!

მეტად დამჩემდა გულისა თრთოლა,
ოდეს არ ვანბობ: აი! აქ არი!
და უცებ ქალო! დამივლის ჟრჟოლა
თუ მაქჳს საგანიც რამ გასახარი...

ქალოჯან! მომაგებინე მით გამახარე
ხევდიანი ვარ გული მაქჳს მწარე!
ოდეს მოლხენით დავსჳამ ამბოსა,
ის მომიყვება სახლის საქმესა (ქმარი.)

რათ მინდა მისი სახლი და კარი
თუ არ ვასრულებ გულის ნებასა!
რა არის ნეტა სიტყჳები მწარი,
მაშინ ოდესაც ველი შვებასა!

ოჴ! ჩემი ქმარიც მეტად ანჩხლია,
როს მოვემზადო წასასვლელათა—
მაშინ მოჭყჳება სახლს რა აკლია
აბა სად უთხრა ყველა ბკლათა!

აბა დაბრძანდით, აბა გასწორდით:
დვაცატ,—ტრი.—სემ.
ძლივს მოვისვენეთ ქმრებსა, განვშორდით,
ეგ მართალია ქალო შენმა მზემ!

დევიტნაცატ,—ვოსემ,—ჩეტირე
ოჰ! ამ ამბოებს ოთხოთხი ერთათ,
იცი მე წუხელს რა დავაპირე,—
მარამ იყოს, აღარა ღირს თქმათ....

აბა! ვის მოუგია, ვის წაუგია,
ზატომ წააგო ორი შაური!
წაგება მითომ რა აუგია—
ვუი! ნეტა რა ხარ რა უცნაური!!

თვალიმც დაუდგება სახლსა და კარსა,
თუ არ გასრულებ ჩემსა ნებასა,
ყველთჳს ვინ გასძლებს სიტყვებსა მწარსა
ვინ მოუჯდება შინ ყველთჳს ქმარსა!

მე ასე გირჩევ მრისხანის სახით—
იმ შენსა ქმარსა, როს გაჯავრდება,
დაუხვდი ხოლმე სიტყვებით მკვახით—
მერე მიწვება და მიეგდება!

ქეთოჯან! უნდა იცოდე მე ჩემსა ქმარსა,
არ გავსცემ ხოლმე ორის დღით ხმასა!
მერე საწყალი თითქოს მტირალი
ხელზედა მკოცნის,—ვაი მისი ბრალი!

ქალოჯან. თუ რომ გიყვარდე სწორედ მითხარი,
მაგდენი ფული ნეტა ვინ მოგცა,
აი! გეტყჳ: რა შინ შამოვა ის ჩემი ქმარი,
გაჯავრებული საშინლად ცხარი,
ბუმაჟნიკს სტოლზე აიღებს დასდებს,

ფეხებს დივანზე დიდკაცურ გაზდებს;
რა ვნახავ რომე მას ჩაეძინა,
ნელნელა მივალ მე სტოლის წინა,
გავხსნი ბუმაჟნიკს, ამოვალაგებ—
და ჩემ პორტმანში მე ჩავალაგებ.

დილით ბუტბუტებს ფული მაკლია,
დეპოზიტებსა ხუთჯერ გადასთვლის!
ჩაცოდავს; მოსდის ცივი ოფლია.—
მე ვერას მეტყვს როგორ გაჰბედავს,
და შუბლ-შეკვრითა თუ შამომხედავს.—
მეც ვითომც ვსწუხვარ, ყველგან დავეძებ—
რა დავიღლები ლოგინს დავიგებ,
დავიწყებ გვნესას, დავიწყებ ოხვრას,
მეტყვ: რატო არ გახსოვს სად რა იყიდე,
ან ვის რა მიე, ან სადმე დასდე!
ვინ იცის ახა ვინ აიღებდა—
და სიხარულით შინ წაიღებდა!

მომიბრუნდება მეტყვს საწყალი;
რისთჳს სწუხარ შენი სულისა,
რადა ეგ მინდა ნუღარ მამკალი,
ადექ კიპოვე შენი გულისა!

მაშინ გვნესითა ძლივს წამოვსჯდები,
მოვა თვალებზე ხელს გადამისჳამს!
მერე ოხვრითა რა წამოვდგები,
მაალერსება, გვერდით მამისვამს!

ოჰ! ქალებო, რამდენი იჩურჩულოთ

დაბრძანდით, ამოიღეთ ნომერი,
ლაპარაკით გული არ დაიწყლულოთ
მე ჩემს ბედს ლხინით დავმღერი!—

ტრი,—პიატ,—დესიატ,
მოვიგე აქ არის. ძლივს მერგო ერთი!
ვამობდიკი: დვა, ვოსემ მარამ სულ კვნესით
მართალს ვანბობ არ გამიწყრეს ღმერთი!

ოჳ! ქალო! ქმარი ხომ ქმარი —
და დედამთილი უარესია!
ღმერთო! რა არის, რა ენა მწარი—
შეჩჳენებული თჳალებ ბრეცია!

მისი ბუტბუტი, მისი ჯავრობა.
აბა რაღა ვსთქჳა გამოგიცდიათ,
დედამთილისა ყველთჳს ავობა—
ყჳელას ტანჯჳთა გარდავიხდიათ!

ბევრის ჯავრობით არ შერჩა კბილი,
ბევრის ყვირილით ხმა ჩასწყჳეტია,
ხიკაპასითა არ მოსდის ძილი,
საშინელია მეტის მეტია!

სულ მას ბუტბუტებს, ვის ეკადრებით,
თაროს და წალოს აღარ უყურებთ,
ადრინდელს ქალებს ვით დაედრებით
აბა თეჳენს ქმრებსა რა რიგ ჰმსახურებთ?

ამა ვაებით გაწვრილდა გული,

ამა გაებით მიგვნესის სული,
რა არის აბა სიმდიდრე, ფული,
როდესაც გრძნობა არის მოკლული!

ეს ყველა ესმის ორომსიმესა, (დედამთილი.)
თავსა გაიქნევს იწყობს ქშინვასა!
დასწყევლოს თქჳჱნი ხასიათები,
მე ყაირათით მტკივა თითები.—

აბა სადღაა ძჳჱლის დროს ქალი,
ან ოჯახისა ლამაზი რძალი!
ძჳჱლი ნამუსი ან მორჩილება—
რიგზე თავაზა კარგი ზდილობა!
აწ რა შავხედავ თჳთ უსახურსა,
მისგან რა ესმის ნეტა ჩემს ყურსა,
სწუნობს ორსავე; ქმარსაც დედამთილს
და მათ ორთავე სწამებს რაღაც ცილს!

დაილოცა ღმერთო შენი განგება,
რა რიგად მიეც დროსა ცვლილება!...
ის რაღა ქმარი ვერ უთხრას ცოლსა,
სახლს რა აკლია მითხარი აბა!
მითომ არ ესმის, იგებს საწოლსა,
ბუტბუტებს: ახალ მოდისა არა მაქჳს კაბა!

ადრინდელს დროსა—დროსა ნეტარსა—
ქმარი რა სახლში შემოვიდოდა,
ცოლი მას ფეხზე აუდგებოდა!
თუ რასმე იგი მას უბრძანებდა,
ტუჩებ მღიმარი გაიხარებდა,

წარბსა და შუბლში მას უყურებდა,
მსწრაფლ მის ნებასა აღასრულებდა!
ახლათუ ქმარი სახლშია ნახონ!
უნდა იგვნესონ და ივაგლახონ!!!.

ბატონებო! თქჳენც ვჰგონებ გახსოვსთ დრო უწინდელი,
აწ მოსაგონრად კმასაყოფელი!
სადღა არიან სძალნი ასულნი
კრძალვით მავალნი და თავ დაცულნი.—

სად ხართ დედანო ჩჳენთჳს ნეტარნო,
თქჳენ კურთხეულნო თქჳენ წინაპარნო!
განატარებდით თქჳენსა ცხოვრებას
ფსალმუნის წართქმით წინწილით ქბნით,
მასში ჰპოებდით განცხრომას შვებას.
მადლი გფარვიდათ, ზეცით განგებით.

ვიდრე ჩჳენ ვესავთ ეკკლესიასა,
და საკმეველი დაიკმეოდეს
კონდაკში ჩავსწერთ თქჳენსა სახელსა,
რომ საუკუნოდ იხსენებოდეს!—

დიმ. ბერიევი.

**1861** წელსა.

## კავკასის მთები მაშუკის მთიდგან

(ფანტაზია, როცა ახლად გათენდება.)

«აგერ საგულოვნო, რა მზე ამოელვარდება!
ანუ სასპარეზო დღე, ვითარ მოებზადება,
მაგრამ აღარავინ არარიან შეჯავშნილ-შეზოსტრილნი,
და მოოქროვილის მუზარადებით მოხდენილნი,
რათა ძველებრივ მეჩოგნეობა ასტყდებოდეს,
რომ ცხენთა ნქრევა გადმოესიამოვნებოდეს,
ვით ფერიალოს ქუჩში მჯდომარესა, დამგრიალებდეს ქარი,
და მეორის მხრით ჩარდახიდამ მშუენიერი ქალი,
დამარცხებისა ჯილდოსა გაიღებს,
და ჭაბუკს ყელზედ გადაავლებს დამღიმარი.
მაშინ მითხარი,
ვითარ ბედნიერი იქნები შენ ჭაბუკო?»
დღეს დილით, ამ გაკამკამებულს, ცის მოლაყვარდუ-
ლობაში,
დავინახავ იქით შორსა, იმ ჰაერობაში,
კავკასიის ბორცვთ მოკიდურთა, თავის ქედებით;
თავის დახავსებულის თეთრის წვერებით,
რომელზედაც მზის შარავანდი დანებიერობს,
და ღუთაების გამოსახული დიდება,
მეტის დაშვენებით, ზედ რო განისვენებს»
«ბრუტოს, ბრუტოს! შემოვყურებ შენს თოვლიანს
სპეტაკოვნებასა:
შენს გამომჭურეტს მობზინვარობასა და შენს ამაყად
მოღერებასა!

კავკაზიის მთებს შორის თუ მოყელყელაოდ,
და გმირ-თვალჯვნებრივ რო შემოგიცრცა ღრუბელი,
ვით ვიღასაც შეყურვინო ტიტველი!»
«იქით მოძმე შენი, მყინვარე მთა აწოდვილი,
ქედსა გაწვდენს მკლავ გაშლილი,
შენთანა სწორად—შენებრ უშიშრად—
შენებრ აღმართული, და სდგას შენებრ განმჯნებული,
რათა თოვლების ზვავები შეიგლიჯოთ,
და ღრიალოვანს ღრანტეებში გადმოანარცხოთ,
ზარ ახდილის გრგვინვის შეძრწუნებით,
რომ შჳლნი თქჳენნი წარმოსთქმიდნენ გაკჳრებით,
და იტყოდნენ თავიანთ სახლეულობაში,
რომელთ გაშტერებით შეჰყურებდნენ მათ მოანბეთა
ვით შეიხეთქეთ ზვავნი, ანუ ხეობაები როგორ ჩამოა-
ხერგეთ.»
«აგერ ბორცვთ კლდეები კავკაზო და ფრიალონი,
მდუმარ დაყმენდილნი ზვავნი, ზედ რო დაჰფართოებენ,
და გაფაციცებულის თვალით მძოვრსა ეძებენ,
რათა ჩაიღუჟმონ და ჩაიგემონ.»
«აგერ შორს შეღრმავებულნი შენი ხეობაები:
სადაც ყურთ კმა აღარ ისმის, მკვირცხლთ მდინარეთ
ვარვარებით,
რომელ მათში თავს მოიკვლენ ზჳრთი ზჳრთზე ქაფთ
ჩქარებით.»
«შენი არ თანასწორი, გრძლად გადაჯაჭვილება,
შავ ზღჳთ კასპადმდე, იმისი მოფერხულება,
მოიტაცებს გონებას, გაწოდილო კავკაზო!
რომელზედაც მისნი ქალნი დათამაშობთ ნაზნო;
და შექცევით დასეირნობთ.
მეც თქჳენს ძმასა გადამიტანთ, მის შეკრულებაში
და მის შეჭმუხვნილებაში:

ჯერ მე თქჳენთან ვმუსაიფობ, ლამაზ ახალ მოლზე;
მოლზე მსხდომარენი და წმიდას მოწანწკარეს წყაროს
პირზე,
მესმის თქჳენი სანუგეშო სიტყჳანი!
მიამბობთ თქჳენსა ანბავსა აქამომდე.
კარგო ქალებო ვინ გითხრათ ეგ?—
არის მამაპაპის სიტყჳაო ეს.
შემდგომ მიბძახებთ და თქჳენი ნებისამებრ
თქჳენგნით წავალ კავკაზის ბორცვების ქედებზე;
თუ ნება მეცით, მაშ რაღათ გამამსტანთ ცრემლსა,
ცრემლსა გულის საკჳლავსა?—
ხდუმთ ქალებო? მაგ დადუმებამ ხომ სულ გამიქრო.
ვაი ჩემს თავს, ახლა გამიწყრებით და მიბძანებთ:
წადი, წადი ეხუტე იმ მთებზედა რას დასდეო.
რას ასე, მაშ წავალ ისევ, წავალ მის კლდეებზე,
რომელზედაც დავნადირობ ჯიხვთ რქიანთა;
ეგრეთა ვდევნი დიდრონთ ირმებს ქორბუდიანთა,
და ნებისამებრ მიმოვიარები, მთით მთაზედ,
მთის ზეფიროსის, მორბედობის სიამოვნით....»
«მიყჳარს შენი შენზედ შეკმაზულნი ღრუბელნი,
როდისაც არაზმულებრივ შემოგემართების,
და წუნარ-დაზანტებით, რო გცოცავს ზედ და განგერ-
თხმის.»
«მიყჳარს შენი დაგუნდებულნი ბნელნი ღრუბელნი,
უფრო მაშინ,—მალანაზდნი ელვარებანი რო დაგეგრა-
გნება.»
«მიყჳარს კავკაზო, შენი ქსრეთი ცეცხლებრ ალაშ-
ქრულება,
და შენი ძახილით აღრტყნებული ღაღადება,
ნამეტნავად მაშინ, ოდეს ცის საყჳრნი დაგყივის შენ,
«სად ერთ საუდრად სუფევ, კავკაზიის თან შეზრდილო,

და ერთი მუცლის ძმა არარატო!
გემდური და შემომძახე, — სად განშორებულხარ? —
შუბ დარდნობილს თეთრ დევსავით, რო გაველებულხარ,
რათა უამხანაგოთ იდგე და უმეგობროდ?
სტირდე, სტირდე დაობლებულო შენ არარატო;
შენსა ძმასა მხარს არა უშვენებ და სწუხ მარტო,
გადმობუგე მაინც არარატო და აღმარი
იგი წარღვნის მოწამე, არარატზედ დამდგარი,
ნოეს კიდობანი იგი,
რომელიცა გადმოვიდეს ჩემთან, სწრაფის ქროლვით;
ჩემს მშობელს ქჳეყნად, ჩემს გადასაყვანად,
რომ მისი ჯვარი, ბუნება, წყალი კიდევ განვიცადო,
და კეკლუცნი ქალნიც ვნახო:
სულზედ უფრო სულის სულნი იგინი!....
თორემ ბედმან მომწყლა; აღარ მახსოვან ისინი მე,
შენ არარატო! წმინდა იაკობის ტარბნი
მაინც გამოგზავნე, ჩემი სულისაგან მკალნი
შემუსრონ და მოსპონ, არარატო, არარატო!»
«ახ! ჩემო საყჳარელო კავკაზო!
არა წადილით საყჳარელო,
არამედ ძლიერის ვნებით სასურჳელო!...,
კავკაზო მშჳენიერო, და კავკაზო განსაცჳფრებელო!
შენ თეთრ ფრთოსანი ორბი გამომიფრინე,
და თან შენი საუცხოება გამოატანე;
რაოდენის წლების მკჳდარს გულზედ, ფრთებით დამნიაოს:
უკვდავებად მივიღო და კჳალად გამაცოცხლოს...
გესმის ძჳელთ უძველესო კავკაზო,
და პირჳელ ქმნულ კაცთა ბუნებათა ბუდეო!
მე ვარ ძე შენი, — ძე შენი კავკაზო,
და ძჳელ ივერიანელი ქართველი,

რომელიცა ამით მოვამაყობ!
შენ გემგოსნი,
შენ გინეტარებ,
შენ შეგამკობ,
შენ შემოგტრფი,
შენ თაყუანსა გცემ მოწიწებით,
და ახლა ვედარცვი ვიჭერ, რომ არ შემოგტირო,
ხაცოდვავად და მწარად!...
ახ! ვის უთხრა?—ესე ცრემლი რას ჩაიტანს თჳს უფსკრულში.....
რომლისაც მის აზრი გალობს ღლოვითა,
მარად ღუთის წინა დაბლებული.
ხომ ჩემი გესმის.—მაშ გულს არ იღმობ? ჰაი შენ ღმერთო!»

თ. ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი.

1839-სა წელსა.
15-ს სეკტემბერს.
ქ. პიატიგორსკს.

## ნანა, მიხეილ გიორგის ძეს ყაზბეგსა.

**ნანა** ჩემო მიხაკო, ედემისა იაო,
დღეგრძელობით აღივსე ჩემო პაწაწინაო!

მსურს გიხილო მლხინარე, ჩემ საამოდ მცინარე,
მეც გაგირწევ გაგანას თუ დედა გვავს მძინარე.

საყუარელო მიხაკო, გულით მსურს რომ იხარო,
აღორძინდე, გამრავლდე და მეც ამით მახარო.

შენ ხარ ჩჳლათ კმობილი, სტეფან წმინდას შობილი,
ანგელოზთა დასთაგან ჩუქნითან გადმოფრენილი.

ალექსანდრემ აღმოვსთქუ ესე შენი ქებანი,
ამაზედ უმჯობესი არა მაქუს შეძლებანი.

თორმეტის წლის ყმაწვილმა ესე ნანა მოგიძღუან,
თუ ღმერთი შემეწევა უკეთესსა მოისმენ.

ა. ყაზბეგი.

წელსა **1861**-სა. 2-ს სეკტემბერს.
სტეფან წმინდას.

## 16 ოკტომბერს. 1860 წ. ს. ბაკურციხე.

(ივ. კერესელიძის მოგზაურობითგან.)

ყოველმა ნასწავლმა კაცმა და თჳთან უკანასკნელმა პირ-
მა იცის, რომ ყოვლის სახელმწიფოს, ყოვლის ხალხის
და ყოვლის კაცის ბედნიერებითი ყოფნა და აღყვავებულს
მდგომარეობაში მდგომარეობა წარმოსდგება მიწის მემუ-
შავებითგან და ეს მიწის მემუშავებაც წარმოსდგება ადგილ-
მამულის მართჳთ. ზენას მოუცია ჩუენთჳს მდიდარი ბუ-
ნება, მოუცია მდიდარი მიწები, მდიდარი მთები და ყო-
ველივე რაც რამ საჭიროა კაცის ცხოვრებისა და იმის
ბედნიერად მყოფობისათჳს, მაგრამ თუ კაცის მეცადინე-
ობამ არ მოიყუანა მოქმედებაში. თავისი ზენითვე მოცე-
მული ძლიერება და ძლიერივე გონება, ყოველივე სარ-
გებლობა განსაცჳფრო ბუნებისა ამაოა, როგორც «სიყვა-
რული თჳნიერ სარწმუნოებისა» როგორც იტყჳს საღმრ-
თო სიტყუა. მაგრამ განა ჩუენ ცოდვილს და ზარმაცს
ქუეყანაში კი არ არიან უცოდველნი და მხნენი! აჲ დამ-
ტკიცება: ესეცა უნდა მოვიხსენიოთ ამ დამტკიცებასთან,
რომ ორნი და სამნი, ოთხნი და ხუთნი ვერ შეადგენენ
ქუეყნის და ხალხის ბედნიერებასა, მხოლოდ შეუძლიანთვე
ამ ორს და სამთ უჩუენონ სხუათა თავისის მოქმედების
ნიმუში, თუ რომ ამ სხუათაც მიითჳსეს... სოფელი ბაკურ-

ციხე დგას წინა შესავალის კარდანახის სოფლის მაზავ-სად ჩინებულსავე ალაგს. ეს სოფელი, ვგონებთ იმ ბაკურის აღშენებული უნდა იყოს, რომელსაც ვიცნობთ ჩჳენ ქართულს ისტორიაში მეცამეტეს საუკუნეში. ყოვლად უეჭველია ეს ბაკურ იქნებოდა ვაჩნაძეთაგანი, რომელსაცა მტრების გამო, რადგანაც მოუსვენიელს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ მთის ხალხისაგან, აღუშენებია მაგარი ციხე თავის სახელზედ და დარჩენილა სახელიც ამ დამაფუძნებელისა ციხე ბაკურისა, ბაქარციხე ანუ ბაკურციხე.—ამ ყოვლად მშჳენიერის სოფლის და ყოვლად ჩინებულის გარდა ნახავთ მძროვას ფერმას, რომელიცა ეკუთვნის და რომელიცა დიდის ღვაწლით და შრომით გაკეთებულია, შრომის მოყვარის თ. სოლომონ ანდრონიკოვისაგან. ღირსია შენიშვნისა ეს ფერმა, არა ერთი ოდენ სილამაზით. იქნება სხჳა ბევრიც იყოს სხჳა სახელმწიფოში, მაგრამ ეს ისეთის მდგომარეობით, და ისეთის ღონისძიებით გაკეთებულია, რომ ვერა მგონია ბევრს არ მიეცეს მოუთმენლობა და სასოწარკვეთილება. თჳთან ეს ფერმა, ჯერ ეს უნდა მოვიხსენიოთ, გაკეთებულია იმ ალაგს, სადაცა ყოფილა რიყე და ახლაცა ცხადათა სჩანს კჳალი ქჳშობისა ასე, რომ რაც კაცის ძალას ვეღარა გაუწყჳარა, მიუტანია და ხეივანს შუა დაუყრია, პირველად ამისთჳს, რომ შორი გზა შეუმოკლებია, მეორედ ამისთჳს, რომ სხჳა უბრალო ბალახი აღარ ამოვიდოდა. მართლადაც, მძროვასი შრომა და ღვაწლი არის დადებული. აქ ნახავთ სიამოვნებითს სარგებლობას, შეერთებულს ღონის-ძიების სარგებლობასთან. შესავალს ალაგს, რამწავს შეხვალთ, დაგხვდებათ სწორე ევროპიული ხეივანი, რომლის ორივე მხარეს იხილავთ ევროპიულს ყვავილებს, აქ ნახავთ ყოვლის მხრის და ყოვლის სახელმწიფოს ვაზს, ყოვლის კუთხის მსხალს და ვაშლს,

იქნება ბევრმა არ დაიჯეროს. მაგრამ თჳთო მსხალი, ზოგოერთი როგორც აწონილა, ერთი გირვანქა და ათი მის-ხალი გამოსულა.—ამასთანავე ყოვლის თჳსა, ასე,რომ ერთი ილევა, მეორე შემოდის; მეორე მწიფდება, მესამე ისხავს ახლად; დღეს, ქ. ი. **16** ოკტომბერს, მიჩუენეს ატამი, კარგი დიდის ვაშლის ოდენი; ქუემომხრივ, ხეივანი აქუს რომლის გნით ვერ შეგიძლიანთ თავისს დროს გარდასცილდეთ, რომ შეგეძლოთ გადასვლა ხეივანითგან იმ ალაგსა, სადაცა დგანან ვაზები, მსხლები, ვაშლები და სხუა საგანგებო ნაყოფი; აქეთ და იქით ერთმა-ნერთზედ მალიან ახლოს ჩაყრილია აურაცხელი თუთის ხეები! შესავალი გზა, შეკრულია პაწაწა კარებებით. რა ახვალთ აქედგან, სადაც ყოვილა ნარიყი, დაგხვდებათ კვა-ლად ჩინებულად შემუშავებული ფერმა: ხეივნები ჩინებუ-ლად დაყოფილი. ჩინებული სხუათა სახელმწიფოს ხეხი-ლები და სხუა და სხუა ყვავილებით; აქ ნახავთ: ბილ-ნონიას, ციტისუს, ამელიას, კიპაროზს, ტუს, ცერცის, გობისკუს, პალნიას, გინიეს, იაპონიკას, აკაციას სხუა და სხუა გუარს, მიმოზას, ტექმა, ყისმიას და სხუას და სხუას. ასავალის ალაგს სასახლისა, სადაცა დგას გა-რის ეკკლესია, მარჯვნივ მხარეს დაგხვდებათ არანჟერეი. ამ არანჟერეისში დგანან ლიმონები არა ჭურჭელში, არა-მედ დედამიწაში; მშუენიერს სუფთას ეკკლესიაში გარშე-მო კუთხეებში ჩაყრილი აქუს იმ გუარი მცენარე, რომელ-იცა ადის კედლებზედ ოთხ კუთხივ და ეხვევა სრულებით ეკკლესიას ასე,რომ კედელი სრულებით აღარ გამოჩნდება, და იხილავთ მხოლოდ მწვანეთ შეფოთვლილს. ასე იფი-ქრეთ, მრთელს სახლს გარშემო ამ გვარი მცენარე ახვე-ვია, აქ ნახავთ ზამთრის არანჟერეის, აქ ნახავთ სახლის უკან ურიცხვს თუთის ხეებს. ესკი დამავიწყდა, რომ ღო-ბის ნაცვლად იქნება (ახლა ჯერ ქოროფა არის, ამისათჳს

ჯერ კიდევ ლობე აქვს) იმ გვარი მცენარე, რომელსაც ჰქვა გნედიჩე და რომელიც ისეთი ეკლოვანია, რომ არა თუ კაცი, ჩიტს ვერ შეუძლიან შემოსვლა. სახლი დგას ორ ეტაჟიანი, რომლის ბალკონითგან სჩანს თითქმის მთელი კავკასი და მთელი დაქანებული ალაზნის მინდორი. სახლის უკან არის აბრეშუმის ქარხანა. თვითან ის ნარიყიანათ რომელზედაც ფერმა არის დიდის შრომით გაკეთებული, არის ორმოცდა ათის დღისა, მნახველმა და გამომძიებელმა ისე არ უნდა მიხედოს ამის ჩინებულს შემუშავებას, როგორც შემდგომს გარემოებას, პირველად ეს, რომ გამკეთებელი ხუთის წლის განმავლობაში, რადგანაც ეს ფერმა ხუთის წლისა არის, ისე ავათ ყოფილა, რომ თურმე აწვევდნენ ხალიჩით, გამოიტანდნენ მუშაკების ალაგს და იქიდგან ავათმყოფი, როგორც ყურადღებით უყურებდა, ისე ყურადღებით ასწავლიდა; მეორედ ეს, რომ იმ ღონისძიებით არის გაკეთებული, რომლის ღონის ძიებით ბევრს არა შეუძლიან. აჲ კიდევ, მაგალითი, ყურადღებისა.—რა ქნას მეცადინეობამ, თუ წახალისება და წაქეზება არ ეხმარება პატიოსანს და მხნეს ადგილმამულის მართველს.—ეს ფერმა და სახლები ისეთის ხელოვნებით არის გაკეთებული და ისეთი ფანტასტიკური აზრი აქვს მომავალისათვის, რომ მართლად და უნდა სამოთხეს ემგზავსებოდეს, მართლადაც და არათუ ერთი ფერმა თვითან ეს მხარე დიდებულია... ბაგურციხის, თუ კარდანახის მებატონენი არიან შემკობილნი მართლად და ყოვლის ღირსებით: მხნეობა, შრომა, სტუმართ მოყვარეობა და ერთობა შეფობენ ამათ შორის. ყოველს ამათ მოქმედებაში ნახავთ კვალს მუშაობისას და შრომისას. ყოვლის ღონისძიებით მეცადინეობენ დაწინაურებას შესახებ ადგილ-მამულის მართვისა.

---

# ტფილისის ამბავი.

ყველამ ვიცით და დარწმუნებული ვართ, რომ ჩუენი კავკასიის მხარე მდიდარია ყოვლის ბუნების ნიჭით, რაც ეოჯსება მრთელის ქუეყნის ჭავებს და მრთელის ქუეყნის ადგილებს. მაგრამ რასაკჳრველია ყველამ არ ვიცით, თუ რომელს ადგილს და მხარეს რა განსაკუთრების ნიჭით არის შემკული ანუ სხუა და სხუა ქუეყნის ხალხს, როგორ შეუმუშავებია ბუნების მიხედჳთ თავის მიწა და რა სის-რულეში მოუყვანია ნაყოფი იმ თავისის მუშაკობითა. ამისათჳს საჭირო არის, როგორც მთავრობისათჳს, აგ-რეთვე ჩუენთჳს. ვიცოდეთ ყოველი ესე, რომ ჩუენცა შე-უდგეთ იმ დახელოვნებულთ ადგილმამულის მართვაში პირთა. ამ ცოდნის მიღებაც შეიძლება მხოლოდ ერთის ღონისძიებით. ეს ღონის ძიება არის, «გამოფენა ხელთა ნაწარმოების ნიმუშებისა» რომელიცა დაწყებულია ქ. ტფი-ლისში მთავრობის განკარგულებით. აქ ყოველს გუარს ხელთა ნაწარმოებს ნახავს კაცი. ამ გუარი გამოფენა, მო-ხდა ტფილისში ერთი **1850** წელსა, მეორედ **1858** წელს, მესამედ წარსულს შემოდგომას, ესე იგი ნოემბერს და ერთიც ახლა, ამ ნოემბრის გასულში ყოველს. შემოდგო-მაზედ იქნება ეს გამოფენა და ყოველს შემოდგომაზედ, ყოველს ადგილმამულის მართუელს შეუძლიან წარადგი-

ნოს თავის ხელით ნაწარმოები. ნიმუშები ყოველთა ხელთა ნაწარმოებისა ეწყო ორს ოთახში, ჩინებულს გემოზედ გაწყობილში. პირჳელში ნახავდით ფორტრეტებს სხჳა და სხჳა ხელოვნებულს დახატულთა და ზოგს გამოყვანილთა ჩუქურთმის მსგავსად, ქაღალდისაგანვე შემდგართა; სხჳა და სხჳა გვარის ფიცრებს, რომელიც სამზღვარს გარეთ თჳთქმის მისხლობით ფასობს და რომელიცა მრავალია ჩჳენს მხარეზედ. სტოლებს, სკამებს, მარმარილოს ქჳებს, ჯიხჳებს და სხჳა ამ გჳარს. მეორეს ოთახში, რომელიცა იყო გრძელი, ეწყო უმეტესად მიწის შესამუშავებელი იარაღები და ამ იარაღების საშუალობით მოცემული ნაყოფი; ხორბალი, ქერი, ბრინჯი და სხჳა და სხჳა სანოვაგესათჳს საჭირო. უფრო წარმოედგინათ ნემეცებს კოლონისტებს, უკეთესი პური და ქერი. გჳთნის მოდელები (ნიმუშები) ფარცხისა, ჩუთისა, სალეწისა, გასანიავებელისა და სხ. აბრეშუმთაგან ყოველთზედ მოსაწონი იყო, ორის კახეთის მებატონისა: თ. დიმიტრი აბხაზისა და თ. სოლომან ანდრონიკოვისა, რომელნიცა ღირსნი არიან შენიშვნისა თავიანთ შრომის მოყვარებისა გამო ამ ადგილმამულის მართვაში. ეს გამოფენა, და ადგილმამულის მართჳს განძლიერება მინდობილი აქჳს ადგილმამულის მართვის საზოგადოებას, რომელიცა ყოვლის ღონისძიებით შეცადინეობს მოიყვანოს სისრულეში. რადგანც ჩჳენ ქჳეყანაში ბევრთა არ იციან რუსული ენა, რომელთაცა წააკითხონ და აცნობონ, თუ რა და რა მიწის შემუშავების იარაღი არის საჭირო ჩჳენთჳს გამოსაწერად, ამისათჳს ადგილმამულის მართჳს საზოგადოებამ მიანდო «ცისკრის» რედაქციას ადგილმამულის მართჳს გაზეთის მსგავსად გამოცემა ორს კჳრაში ერთხელ, მხატვრობით, ამაში იქნებიან სურათები სხჳა და სხჳა ევროპიაში მოგონებულის გუთნებისა და იმათი აღწერა

რასაკჳრველია იმ გვარების, რომელნიცა გამოდგებიან ჩჳენს ქჳეყანაში: ფარცხისჳის, ჩუთისა და სხჳ. მეორე შესანიშავი, მოხდა ტფილისში 16 ნოემბერს. ეს გახლდათ ქართულის თეატრის მოყვარეთაგან, წარმოდგენა ორის ქართულის კამედიისა, საზოგადო სასარგებლო საქმისათჳს. კამედია წარმოადგინეს დიდს სახელმწიფო თეატრში, როგორც ვსთქვთ ზემოთ ორი. ერთი «მე მინდა გნეინა გავხდე» თხზულება განსჳენებულის ზ. ანტონოვისა და მეორე «გაყრა» თხზულება, თ. გიორგი ერისთავისა. მოქმედნი პირნი იყჳნენ, ზოგნი გიმნაზიის მოწაფეთაგანნი, ზოგნი შინაურს სასწავლებელში და ზოგნი სამსახურში მყოფნი, რომელნიცა ერთის სულით და გულით გვეჩჳენნენ სათეატრო სცენაზედ. უნდა გენახათ, როგორ მხიარულად, როგორ გულმხურვალეთ ასრულებდნენ თჳთეულნი იმათგანნი თავიანთს როლს. საჭიროდ ვრაცხთ მოვიხსენიოთ სახელდობ მოქმედნი პირნიცა, კომედიაში «მე მინდა გნეინა გავხდე,» იყვნენ შემდგომნი: მინას პეტრუზნიჩ.ვაჭარი და მეზობელი ბარბარესი,—უ. ხააკაშჳლი; ბარბარე, მდიდარი ვაჭრის ქჳრივი და ბებერი,—უ სარქისიანი; კეკელა, მაზლის ქალი ბარბარესი.—თ. მაჩაბელი; ილიკო, მილიციონერი, საყჳარელი კეკელასი,—უ. ყიფიანი; დავით, ღარიბი და ქვრივი თავადი, მოვალე მინასასი,—უ. მდივანი; გრიგოლ. ნათლია კეკელასი,—უ. ს...ვ. კვარტალნი, უ. ბაქრაძე, პეტრიკა იმერელი, მსახური მინასასი.—კომედიაში «გაყრა» ანდუყაფარ, ქვრივი, თავადი დიდებულიძე—უ. ოხიტაშჳლი; პავლე ამისი ძმა, უ. ბაქრაძე; ივანე აგრეთვე ამათი ძმა. რუსეთში გაზრდილი, უ. ყიფიანი; მაკრინე, ცოლი პავლესი,—თ. მაჩაბელი; ნინო. ქალი პავლესი,—უ. კალატოზიშჳლი; მიკირტუმ გასპარიჩი ტრდატოვი, ვაჭარი და მეგობარი ანდუყაფარისა—უ. ხა-

აკაშვილი; თათულა ამისი ცოლი, თ. ფალავანდიშვილი; რამაზ, სეკრეტარი სუდისა,—უ. მაიჭაძე; ბარძიმ ნათე-სავი დიდებულიძისა,—უ. მდივანი; ბარამ, მოურავი, დიდებულიძეთა... უ. ს....ვი; კამისარი, ძმა თათულასი,— ს....ვი; გაბრიელ, მსახური ივანესი,— უ. კორინთელი; ყარდაშვერდი, გოგო ნინოსი,—უ. სარქისიანი. წარსულს წელს წარმოადგინეს ამავე აზრით და განზრახვით ცოცხა-ლი სურათები, საზოგადო საქმის კეთილის მყოფელთა და მრავალთა დარბაისელთა პირთა მიიღეს მონაწილეობა. ინებოს ღმერთმა რა განზრახვითაც წარ-მოადგინეს, ის განზრახვა მოიყვანოს აღსრულებაში... ამ მოთამაშეთა შორის, რომელთა გვარი მოვიხსენიეთ ზემოთ, ყოველთზედ მეტად თამაშობდა სომეხი, ვაჭარი მანას პეტრუზაძე, ისევე მივირტუმ გასპარის ტრადოვის როლში, უ. სააკაშვილი; მართლადაც სომეხს ემზგავსე-ბოდა. ლაპარაკი, შეხედულობა თუ მიხრა-მოხრა; მეორე გაბრიელა ბიჭი, უ. კორინთელი; იმის გამოთქმა, იმისი მიხრა-მოხრა, იმისი სახის ცვლილება, ტირილი თუ სი-ცილი ცხადათ დაგვარწმუნებდათ, რომ თითქო დიდის ხნითგან დახელოვნებულიაო სათეატრო სცენაზედ; მესამე თ. მაჩაბელი, რომელიცა იყო ჩაცმული ქალურად და თამაშობდა ბებელას როლს. ვერას ფერში ვერ შეატყობ-და მაყურებელი ქალი იყო თუ კაცი, ამასთანვე ლაპარაკი და მიმოხვრა სრულიად აშვენებდნენ თ. მაჩაბელს. სხუა-ნიცა წარმოადგენდნენ გამოცდილების და ასაკის მიხედვით: უ. ყიფიანი, უ. ბაქრაძე. უ. ოსიტაშვილი, აღსრულებ-დნენ თავიანთს როლს გულმხურვალედ და დიდის სია-მოვნებით. ინებოს ღმერთმა რა კეთილის განზრახვითაც წარმოადგინეს, იმ კეთილსავე მოასმაროს, დასასრულს უნდა ვახაროთ საყვარელთა «ცისკრის» მკითხველთა, რომ ამ მოკლეს დროში გამოვა ქართულს ენაზედ სრული

კალენდარი, რედაქციითგან გამოცემული, ნათარგმნი სტე-
ფანე მდივანოვისაგან ქართულს ენაზედ. ამ კალენდარში
იქნებიან იანვრითგან დაწყებილნი ყოველნი დიდნი თუ
მცირენი დღესასწაულნი, ქართჳელთ, სომეხთ და სხჳათა
სარწმუნოებისა. ამასთანავე რომელს თვეში და რიცხვში
მოხდება მზის დაბნელება, რომელს დღეს იქნება დარი
ანუ ავდარი, ანუ მიწის ძვრა, ან სნეულება. ეს კალენდა-
რი ამ წინასწარ თქმულობის მიხედვით შედგენილია
ფემპერდისაგან. ამის გარდა იქნებიან სხჳა და სხჳა
მინდათა მოთხრობანი: იოანე ოქროპირისა, ვასილი დიდი-
ს და ზოგი ერთი წმინდათა სომეხთ სარწმუნოებისა. ეს
ლენდარი იქნება პატარას ტანისა, ისე რომ შეიძლება
იბით ატაროს კაცმა. იმედი გვაქჳს ქართულის ენის
ოყვარენი ქართჳელნი, აგრეთვე სომეხთ სარწმუნოები-
ნი, რომელთაცა უფრო ესმის ენა ქართული ვიდრე
ომხური შეიძინებენ სყიდვით, რომლის ფასი დანიშ-
ულია მთარგმნელისაგან, ათი შაური. უკეთუ გაესყიდება
თავისი შრომა, უეჭჳელია გამხნევდება, სხჳასაცა სთარგმ-
ს სასარგებლოს ისტორიულს წიგნსა, რომელიცა კიდეცა
ჳს ბევრი ნათარგმნი, დაჰბეჭდავს და თჳთან ამ კალენდარსაც
ვის დროზედ მიეცემა ისეთი სისრული, რომლითაც
იდებიან ევროპიის კალენდრები.

---

## უფალო რედაქტორო!

რა საკჳრველია მოგეხსენებათ, რომ **16**-ს გიორგო-ბის თვეს იყო წარმოდგენა ქართულს ენაზედ ორის პი-ესისა: «გაყრა» თ. გ. ერისთავისა და «მინდა კნეინა გავ-ხდე» ზ. ანტონოვისა, კეთილშობილთ პირთაგან, საზო-გადო სარგებლობისათჳს, ტფილისის დიდს ტეატრში, და საზოგადოების კმაყოფილებაც თქჳენ უკეთ მოგეხ-სენებათ.—აგრეთვე თქჳენ თჳთონ შეგიძლიანთ გასაჯოთ რაც ეფექტი და შთაბეჭდილებაც მოახდინეს პუბლიკაზედ: უფ. სააკოვმა, კორინთელმა, თ. მაჩაბელმა, უფ. ბაქ-რაძემ, სარქისოვმა და აგრეთვე სხჳათა. რამდენთამე აკ-ტეორთა, საზოგადოებისა და აგრეთვე მთავრობის პირთ სურვილით ვაპირებთ კიდევ წარმოდგენასა... მაგრამ მე ეს არ მინდა მეთქჳა: მე მხოლოდ მინდა წარუდგინო საზოგადოებას, ფულის ანგარიში, რომელიც ავიღეთ. გჳნდა რომ ჩჳენზედაც ის არ ითქჳას, რასაცა ზოგი-ერთს სხჳა პირზედ ანბობენ. თეატრი, როგორც მო-

გეხსენებათ, სულ სავსე იყო; ადგილების ფასიც ხომ ჩვეულებრივი იყო; ფული მოგროვდა სამოცდა სამი თუმანი და ოთხი მანათი; აქედამ თეატრის სამზადისზედ დაიხარჯა თხუთმეტი თუმანი და ოთხი მანათი; დანაშთე-ნი—ორმოცდა რვა თუმანი წარდგენილ იქმნა შესაწევნე-ლად ტფილისის გიმნაზიისა, რომ სიმრთელისათჳს სავარ-ჯიშო გიმნასტიკა გაიმართოს, ვისაც სწავლისათჳნ სი-ღარიბისაგან ფულის მიცემა არ შეუძლია, ფულთ აღარ მოეთხოვებოდეთ.—

ამ კეთილის საქმის კეთილად წარმართჳსათჳს დიდი მადლობა გვმართებს უმეტესადრე თავადთ გიორგი და ალექსანდრე სჳმონის ძეთ მაჩაბლებისა, რომელთაც არ დაზოგეს არა ვითარი მათგან შესაძლო შრომა და შემ-წეობა, და კვალად დიდად ვმადლობთ თავადს გიორგი ნიკოლოზის ძეს ბაგრატიონ-მუხრანსკისა, რომელმაც წარმოდგენაში ჩინებული მომღერალი ხათარაშალა მოგვახ-მარა საკუთარის ხარჯით.

ფურცელაძე.

გიორგობის თჳს **24** დღეს. **1861** წელსა.